საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 61 (605) ხუთშაბათი, 25 მარტი, 1993 წელი ფასი 5 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 23 მარტს დილით მდ. გუმისთაზე სიმშვიდე იყო შენარჩუნებული. 11 საათისათვის კი მოწინააღმდეგემ დაარღვია შეთანხმება ცეცხლის დროებითი შეწყვეტის შესახებ, სოფელ ამზარასთან საბრძოლო პოზიციაზე გადაიყვანა მძიმე ტექნიკა და გაუხსნა ცეცხლი შრომა-კამანის მიმართულებით არსებულ ჩვენს პოზიციებს.

საქართველოს შეიარაღებული ძალები იძულებულნი გახდნენ ცეცხლითვე ეპასუხათ, რის შედეგადაც მოწინააღმდეგის მძიმე ტექნიკა იძულებული გახდა საბრძოლო პოზიციები დაეტოვებინა და უკან დაეხია.

ამის შემდგომ ფრონტის ხაზზე ძირითადად სიმშვიდე იყო შენარჩუნებული. ადგილი ჰქონდა ავტომატური იარაღის იშვიათ ორმხრივ სროლას. ღამემაც მდ. გუმისთაზე მშვიდად ჩაიარა.

იოსებ გობეჩია.

◆

21 მარტს დილიდან მდინარე გუმისთასთან ცეცხლის ხაზის გასწვრივ შეინიშნებოდა დაპირისპირებული მხარის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის გადაადგილება, რის გამოც საქართველოს ჯარების ყველა საგუშაგო ბრძოლისათვის გაამზადეს. ასე იყო წინა დღესაც. მაგრამ დღის 8 საათისათვის სოფელ ამზარასთან აფხაზმა ექსტრემისტებმა მოულოდნელად ცეცხლი დაუშინეს შრომა-კამანის ახლოს განლაგებულ საქართველოს ფორმირებათა თავდაცვით პოზიციებს და იერიშზე გადავიდნენ. საქართველოს შეიარაღებული ძალები იძულებული იყვნენ გაეხსნათ საპასუხო ცეცხლი, რის შემდეგ აფხაზმა ბოევიკებმა და მათმა დაქირავებულებმა უკან დაიხიეს, და სროლა შეწყვიტეს.

ოჩამჩირის ზონაში, სადაც საქართველოს ჯარები საიმედოდ გამაგრდნენ ადრე დაკავებულ პოზიციებზე, მიმდინარეობდა ცალკეული მცირე მასშტაბის ბრძოლები.

თენგიზ ჯიბუტი.

◆

წუხელ, 23 საათზე რედაქცია დაუკავშირდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს მორიგეს. მან გვაცნობა, რომ ამ დროისათვის სოხუმში სიმშვიდე იყო.

◆

მხოლოდ ერთიანობა გვიხსნის

სამტრედია. მხოლოდ ერთიანობა გვიხსნის... ამ სიტყვებით მიმართა სამტრედიაში აფხაზეთის ტრაგედიის გამო სამობილიზაციო მზადყოფნასთან დაკავშირებულ შეხვედრაზე შეკრებილთ პოლკოვნიკმა ვახტანგ (ლოთი) ქობალიამ. სათადარიგოთა მობილიზაცია რაიონში ურიგოდ არ მიმდინარეობს. ყველაფერი კეთდება, რათა აფხაზეთში მებრძოლებს არ შემოაკლდეთ სურსათ-სანოვაგე, აღჭურვილობა...

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ძველი პრესის ფურცლებიდან

25 მარტი—საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის დღე



სურათზე: სვეტიცხოველი. ვარლამ ბენხიურის ფოტო.

თავისუფალი ეკლესია

...რუსეთის თავად მონა ეკლესიამ ქრისტესაგან ლტოლვილი მაცთურის რჩევა მიიღო (მათ. 4, 8-9) და მახვილის შემწეობით ნინოს ჯვარი ფეხქვეშ გათელა. ამის შემდეგ იწყება ჩვენი ორკეცი ტყვეობა. მტერმა არაფერი დაინდო. მოციქულობა დაგვიდუმა, საკურთხეველი დაგვიმხო, მწყემსნი განგვიბნია და ჯვარტვირთულ საკათალიკოზო ტაძარში საძაგელი აოხრებისა გაამეფა, ქრისტეს სახელით დაინგრა ქრისტიანობისათვის ყველაზე მეტად წამებული წმიდა ივერი... ჩვენში ზოგი ისეთი გულუბრყვილო იყო, რომ ყველა ამის ჩამდენ რუსეთის მტარვალ ეკლესიიდან ამ ბოლო დროს თავისუფლებასაც მოელოდა. არა, ჩვენი ხსნა სხვა გზით მოვიდა: ერმა ბორკილები აიყარა და ფარისეველნი ქრისტეს ტაძრიდან გამოყარა. ერმა შვა ჩვენი თავისუფლება და დროშა ძლევისა მანვე აღგვიმართა. დღეს ჩვენთვის ქრისტეს მეორე აღდგომაა. დაემხო ჯოჯოხეთი. — რუსეთის ბიუროკრატიული ეკლესია და ჩვენ ასი წლის მონებს თავისუფალი სიცოცხლე მოგვენიჭა. დრო საშინელი სისწრაფით ამსხვრევს ძველ კერპებს. სიხარული გვიორკეცდება... სალამი თავისუფალ სინიდისს, თავისუფალ რწმენას, თავისუფალ ეკლესიას! ქრისტე აღსდგა!

ონოფრე მწირი.

„ჩვენი მეგობარი", 1917 წ. 14 მარტი.

ყველაფერი კეთდება დამნაშავეთა გამოსავლენად

საქართველოს პარლამენტის სხდომის დღიური

24 მარტს ნაშუადღევს საქართველოს პარლამენტის სხდომამ განაგრძო მუშაობა. ამ დღეს, რეგლამენტის მიხედვით, პარლამენტარები მხოლოდ შეკითხვებითა და ინფორმაციებით იფარგლებიან. ამჯერად, პარლამენტის წევრთა მიერ შეკითხვის წესით დასმულ საკითხებზე საპასუხოდ სხდომაზე მოწვეული იყო რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი ირაკლი ბათიაშვილი. საქმე ეხებოდა 23 მარტის პლენარულ სხდომაზე პარლამენტის წევრის ვახტანგ ძაბირაძის მიერ დასმულ საკითხს — ბათუმში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, კერძოდ პარლამენტარ თამაზ დიასამიძის გატაცებას ბათუმის აეროპორტიდან. იმავე, ეგრეთ წოდებულმა შეიარაღებულმა სახალხო რაზმელებმა 15 მარტს დაარბიეს აჭარის დედაქალაქში მდებარე საგაზეთო ჯიხურები, არაკანონიერად ამოიღეს გაზეთი „საქართველოს კარიბჭე", სხვადასხვა დროს დაარბიეს აგრეთვე რესპუბლიკური პარტიის შტაბბინა, მიტინგი. ვახტანგ ძაბირაძემ მოითხოვა პარლამენტისაგან, რომ ამ ფაქტებს პარლამენტმა მისცეს პოლიტიკური შეფასება.

ბატონმა ირაკლი ბათიაშვილმა სხდომაზე განაცხადა, რომ ყველაფერი კეთდება დამნაშავეთა გამოსავლინებლად და მათ საკადრისად მიეზღებათ. მან ეს მოვლენები ერთი ჯგუფის რგოლებად აღიარა და თქვა, რომ მაქსიმალურ ზომებს მიიღებენ, რათა მომავალში აღიკვეთოს მსგავსი დანაშაულობანი.

პარლამენტარების გამოსვლები ერთობ ცხარე და დამუხტული იყო.

სხდომა გვიანობამდე გაგრძელდა.

შეხვედრა პარლამენტარებთან

24 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა მაჟორიტარული წესით არჩეულ საქართველოს პარლამენტარებს. სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ დღევანდელ ვითარებაში, როცა ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას დაემატა რუსეთში მიმდინარე ცნობილი მოვლენები, რასაც შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პარლამენტის ორგანიზებულ, აქტიურ მუშაობას. სასურველია, რომ იგი უფრო სრულყოფილი და ნაყოფიერი გახდეს. ასეთი შეხვედრები, რომლებშიც მომავალშიც სხვა საპარლამენტო ფრაქციები მიიღებენ მონაწილეობას, სასარგებლო ნაყოფს გამოიღებს და დაეხმარება პარლამენტარებს მუშაობის უფრო შედეგიანად წარმართვაში.

პარლამენტარებმა თავიანთ გამოსვლებში ისაუბრეს იმ მტკივნეულ საკითხებზე, რომლებიც აწუხებს ამომრჩევლებს. სადღეისოდ შექმნილი სიტუაცია, სოციალური აფეთქების წინაშე გვაყენებს. ფულის ნიშნების უქონლობამ მოსახლეობა უხელფასოდ დატოვა. ამას ემატება უტრანსპორტობა, გახშირებული ძარცვა-ყაჩაღობა. ასეთ დროს მოსახლეობა, ბუნებრივია, პასუხს თავიანთი რჩეულებისაგან ელიან. მათ მიერ მიღებული კანონები და მათი ამოქმედება უნდა გახდეს შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსვლის გარანტი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესმდივნის განცხადება

23 მარტს, გვიან ღამით გავრცელდა ხმები იმის შესახებ, თითქოსდა რამდენიმე საათში მოსალოდნელი იყო მასირებული შეტევა ქალაქ სოხუმზე ძირითადად რუსეთის, როგორც საჰაერო, ასევე სახმელეთო სამხედრო შენაერთების მონაწილეობით. მოარული ვერსიით ასეთი აქცია პროვოცირებული უნდა ყოფილიყო საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედებით, რაც თავის მხრივ უნდა გამოეწვია აფხაზი სეპარატისტების მიერ დაგეგმილ ოპერაციას.

საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო, მთავარსარდლის აპარატი გათენებამდე იღებდნენ სათანადო ზომებს შესაძლო პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად.

ღამის 2 საათზე ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის პირველმა მოადგილემ ბორის დიუკოვმა არ დაადასტურა ასეთი გეგმის განხორციელების შესაძლებლობა. სათანადო ზომების მისაღებად უფრო გვიან მიმართეს რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ვლადიმერ ზემსკის, რომელიც ოპერატიულად დაუკავშირდა რუსეთის ჯარების სარდლობას ამიერკავკასიაში, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს, რომლის წარმომადგენელმა გააკეთა ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ რეგიონში იმ წუთისათვის ვითარება მშვიდია და რაიმე სამხედრო მოქმედებების საშიშროება არ არის.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანებით სამხედრო ფორმირებები მოყვანილ იყვნენ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში შესაძლო პროვოკაციაზე საკადრისი პასუხის გასაცემად.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროპარლამენტის დელეგაცია

24 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროპარლამენტის დელეგაცია, რომელიც სამუშაო ვიზიტად ეწვია ამიერკავკასიის ქვეყნებს. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ კმაყოფილება გამოთქვა ამ ვიზიტის გამო, მადლობა მოახსენა დელეგაციის წევრებს, და მათი სახით ყველას, ვინც ძნელბედობის ჟამს ეხმარება საქართველოს. და რომ ეს მხარდაჭერა და დახმარება არა, აღნიშნა, კერძოდ, სახელმწიფოს მეთაურმა, საქართველოს უფრო გაუჭირდებოდა.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გააცნო სტუმრებს რუსეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, რომელიც ამჟამად მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. იმპერია დაიშალა, თქვა მან, მაგრამ მისი სრული დემონტაჟი ჯერ არ განხორციელებულა. და იმ პატარა ქვეყნებში, რომლებიც, პრაქტიკულად, ამ სხეულის ნაწილები იყვნენ, დამოუკიდებლობის ფორმირება მძიმედ მიმდინარეობს. ამ ფონზე ევროპარლამენტისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა მეტად მნიშვნელოვანია. ახლა იწყება სიძნელეთა ახალი ეტაპი, როგორ განვითარდება ეს მოვლენები, ამაზე დამოკიდებულია არა მარტო საქართველოს ბედი. და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უამრავი პრობლემა გვაქვს, ჩვენთვის მაინც ყველაზე დიდი პრობლემა რუსეთში მიმდინარე მოვლენებია. რუსეთი ახლა გზაჯვარედინზეა, როგორ გზას აირჩევს იგი, ამაზე დიდად არის დამოკიდებული დემოკრატიის ბედი.

მიუხედავად ყველა გაჭირვებისა, რასაც ახლა ჩვენ განვიცდით, ხაზი გაუსვა სახელმწიფოს მეთაურმა, მე მაინც მჯერა ჩვენი ქვეყნის მომავლისა, ქართველმა ერმა აირჩია დემოკრატიული ცხოვრებისა და ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენების გზა.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა რწმენა, რომ ევროპა ადრე თუ გვიან მივა იმ დასკვნამდე, რომ კავკასია მის შემადგენელ ნაწილად ჩათვალოს და აღნიშნა, რომ ევროპას განსაკუთრებული როლი ეკისრება იმისათვის, რომ კავკასიაში ახალი ურთიერთობები დამკვიდრდეს.

შეეხო რა სომხეთთან და აზერბაიჯანთან დამოკიდებულებას, სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, რომ ჩვენ მათთან ძმური ურთიერთობა გვაქვს, ისე როგორც, ძირითადად, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან. საუბარი შეეხო არაერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხს, მათ შორის შავი ზღვის ქვეყნების თანამშრომლობის კარგ პერსპექტივებს, სხვა რესპუბლიკებთან ურთიერთობებს სამართლებრივ ბაზაზე.

ევროპარლამენტის დელეგაციის წევრთა შეკითხვები მრავალფეროვანი იყო, მათ შორის, ასეთებიც: რა შეუძლიათ დასავლეთის პოლიტიკოსებს გააკეთონ რუსეთთან მიმართებაში? რა კონკრეტული დახმარება შეგვიძლია გავუწიოთ საქართველოს? აპირებს თუ არა საქართველო მანეთის ზონაში დარჩენას? და სხვა, რომლებზეც მათ ამომწურავი პასუხები მიიღეს.

დელეგაციის ყველა წევრის აზრი გამოხატა მისმა ხელმძღვანელმა მაგდალენ ჰოფმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა სახელმწიფოს მეთაურს გულთბილი მიღებისა და საინტერესო საუბრისათვის და აღნიშნა, რომ მათი აქ ჩამოსვლა მიზნად ისახავს მომავალი თანამშრომლობის დამყარებას. ქალბატონმა ჰოფმა განაცხადა, რომ შესაძლოა წლის ბოლოსათვის საქართველოში გაიხსნას ევროგაერთიანების წარმომადგენლობა.

დელეგაციის წევრმა, ინგლისელმა მწერალმა, კემბრიჯის უნივერსიტეტის დოქტორმა ლორდ ბეტელმა წარმატებები და წინსვლა უსურვა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და დელეგაციის სახელით გადასცა მას ევროპარლამენტის მიწვევა. სტუმარმა დღევანდელი გაზაფხულის ეს ლამაზი დღე ხატოვნად შეადარა მომავალ საქართველოს, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

მერი გაბრიაძე.

სურათზე: შეხვედრის დროს.
გივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს პარლამენტის 23 მარტის დილის სხდომაზე ბატონმა **ედუარდ შევარდნაძემ** აღნიშნა, რომ ისახება რეალური პირობები სამეგრელოს შემორიგებისა, რომ ვახტანგ (ლოთი) ქობალია შეხვდა თენგიზ კიტოვანს, პაატა დათუაშვილს, გიორგი ხაინდრავას და რომ რეალურად განიხილეს ის საკითხები, რომლებიც ჩვენ, ყველას ძალზე გვაღელვებს. სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა ისიც, რომ სამეგრელოს შემორიგებას იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

საღამოს სხდომაზე საქართველოს სახალხო ფრონტის სახელით პარლამენტის წევრმა ლევან მესხმა გააკეთა განცხადება, რომელშიც მოიწონა არსებული ხელისუფლების და პრეზიდენტყოფილის შეიარაღებულ ფორმირებათა ძალისხმევის გაერთიანების ფაქტი და ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესისათვის ხელის შეშლის ყოველ მცდელობას ღალატის ფასი დაადო.

ვისი კარნახით?!

ქარავანი რომ მიდის, ანდაზებიდან მოგეხსენებათ, ყველა ჩუმად როდია. სიტუაციას, რომელზეც დღეს მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო, სხვა ანდაზებიც მიესადაგება, მაგრამ დღეს არავის გვეანდაზება, ამიტომ პირდაპირ მოვიტან ნაწყვეტს გაზეთ **„საშუალო ფენის"** ერთი პუბლიკაციიდან.

მაგრამ ჯერ ორიოდე სიტყვა თვით გაზეთზე: სათაურმა კი დამაბნია თორემ შინაარსობრივად აქ ყველაფერი ნათელია, ვინაიდან ვერაფრით მივხვდი, რა საშუალო ფენაზეა აქ საუბარი. თუ აქ სოციალური ფენა იგულისხმება, ალბათ, მალე გამოჩნდება გაზეთები დაახლოებით ამდაგვარი სათაურებით — „არისტოკრატი", „ელიტა", და, მეორეს მხრივ, ვთქვათ „პლებსი".

სათაურმა დამაბნია-მეთქი, სამაგიეროდ, როგორც ვთქვი, სრულიად ნათელია გაზეთის სულისკვეთება და მიმართულება. სხვას რომ თავი დავანებოთ, აქ დაბეჭდილია „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანება", რომელშიც იგი აღშფოთებულია იმით, რომ „საქართველოში სისხლიანი ხუნტის ერთწლიანი თარეშის შედეგად ქვეყანა პოლიტიკური და ეკონომიკური კატასტროფის ზღვარზეა მიყვანილი.. ქვეყანა ჩათრეულია დამღუპველ ომში... საქართველოს სრული განადგურებისაგან ხსნისათვის...

ვბრძანებ: 1. დაევალოს კანონიერებისათვის მებრძოლი შეიარაღებული ძალების თავდაცვის საბჭოს (ლ. ქობალია) ჩამოაყალიბოს ტერორისტული აქტებისა და დივერსიების წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური ქვედანაყოფები... დააწესონ უმკაცრესი კონტროლი... სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებზე, და ასე, ამ სტილში.

როგორ უთავსდება ერთმანეთს ყოველივე ის, რაც პარლამენტის სხდომებზე ითქვა და ის, რასაც ბრძანებს ადამიანი, რომელსაც თავი ყველაფრის მიუხედავად, ჯერ კიდევ პრეზიდენტი ჰგონია?

კომენტარი ბატონ აკაკი ასათიანს ვთხოვეთ.

„მე ვფიქრობ ქვეყნისათვის ჯობია ის, რაც პარლამენტის სხდომაზე ითქვა და არა ის, რაც გაზეთ „საშუალო ფენაში" ამოვიკითხე.

გაზეთ „ივერია-ექსპრესი" ადასტურებს იმ ინფორმაციის სისწორეს, რაც პარლამენტის სხდომაზე მოვისმინეთ და ტელევიზიითაც ვიხილეთ, ესე იგი, ლოთი ქობალია მზად არის იბრძოლოს თავისი ქვეყნის მთლიანობისათვის, თუმცაღა ბოლომდე თავისი პოლიტიკური შეხედულებების ერთგული რჩება. ჩემი აზრით, სწორი ნაბიჯია".

ესე იგი გამოდის, რომ ამჯერად ლოთი ქობალია მოქმედებს არა პრეზიდენტყოფილის მითითებით, არამედ საკუთარი აზრით, იღვწის არა ვისიმე საამებლად, არამედ ქვეყნის ინტერესებისათვის.

მაგრამ „საშუალო ფენა" რატომ ირჯება საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად, რატომ ცდილობს შეინარჩუნოს განხეთქილება, ჩემთვის გაუგებარია. ეს, ერთი, და კიდევ:

დღევანდელ რთულ სიტუაციაში, როდესაც ტრადიციულ, მრავალტირაჟიან გაზეთებსაც კი უჭირთ ყოველი ნომრის გამოცემა, ეტყობა, ამ გაზეთმა კარგი პატრონი, სპონსორი იშოვა, რომლის სახსრებითაც გამოდის საშუალო დონის გაზეთი და დამფინანსებლის დაკვეთას ასრულებს?

იქნებ ასე არ არის და ვცოდავ. დამბრალებლისა არ იყოს?

ან, იქნებ, ყველამ ყველაფერი იცის და მე ჩამორჩი დროს?

გალინა ხარებაშვილი.

ნომერში

- თვითდინებაზე მიშვებული ეკონომიკის მართვა. 2
- საშიში კრიმინოგენული ქარიშხალი. 4

თენგიზ სიგუა:

ევროპარლამენტის მხარდაჭერა ჩვენთვის აუცილებელია

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ 24 მარტს მიიღო ევროპარლამენტის დელეგაცია.

— მართალია, არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია ხელს უშლის საბაზრო ეკონომიკაზე ინტენსიურ გადასვლას, — თქვა მან, — მაგრამ უკვე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მიწის, ბინების, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების პრივატიზაცია. სოციალისტური სისტემის დემონტაჟის პროცესი შეუქცევადი გახდა. რუსეთის ბანკი არ გვაძლევს 60 მილიარდ მანეთს. ეს გვაიძულებს შემოვიღოთ კუპონები. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა გაუმჯობესდება. საქართველოს მხარე მზად არის მიუჯდეს მოლაპარაკების მაგიდას.

დელეგაციის ხელმძღვანელმა მაგდალენ ჰოფმა თქვა, რომ ევროპარლამენტი ყოველმხრივ მხარდაჭერას გაუწევს საქართველოს. დელეგაციის წევრმა, კავკასიის რეგიონის შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელმა ლორდმა ნიკოლას ბეტელმა აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, ევროპაში ცოტა რამ თუ იციან აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, მაგრამ ახლა იგი დარწმუნებულია, რომ იქ შექმნილი სიტუაცია არანაკლებ რთულია, ვიდრე იუგოსლავიის კონფლიქტი.

საუბრის დასასრულს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ მოიწვია დელეგაციის წევრები ჩამოვიდნენ ჩვენს რესპუბლიკაში ორი-სამი წლის შემდეგ, როცა იგი გადალახავს ყველა სიძნელეს და გახდება სტაბილური და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში

24 მარტს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ მიიღო ირანის დროებითი საქმეთა რწმუნებული საქართველოში ფერიდინ ჰაყბინი.

საუბარი წარიმართა ორივე მხარისათვის ურთიერთსაინტერესო საკითხებზე. უპირველეს ყოვლისა განიხილეს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ალი-აკბარ ველაიათის საქართველოში ვიზიტის საკითხი, რომელიც წინასწარი მოლაპარაკების თანახმად აპრილის პირველ ნახევარში უნდა შედგეს.

მხარეებმა აღნიშნეს ირანში საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის ვიზიტის, ირანის პრეზიდენტის რაფსანჯანის და საქართველოს რესპუბლიკის მეთაურის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრების დიდი მნიშვნელობა, რომელიც ხელს შეუწყობს ორ სახელმწიფოს შორის ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებასა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას. განიხილეს ირანში ხელმოწერილი დოკუმენტებით განსაზღვრულ პროგრამათა განხორციელების გზები.

მხარეები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ირან-საქართველოს ურთიერთობის მნიშვნელოვანი მომენტი იქნება საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის მჭიდრო კონტაქტების დამყარება.

დროებითმა რწმუნებულმა ფერიდინ ჰაყბინმა ბატონ ა. ჩიკვაიძეს გადასცა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ველაიათის სარეკომენდაციო წერილი, რომელიც ადასტურებს ფ. ჰაყბინის რწმუნებებს საქართველოში.

ფერიდინ ჰაყბინმა მინისტრს განუცხადა, რომ ირანი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვევობას.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში

ჩრდილოეთ ოსეთის სსრ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის აღიარების შესახებ" მიიღო ორგანომ, რომელსაც არ შეუძლია წარმოადგენდეს რუსეთის ფედერაციას მთლიანად და მით უმეტეს საერთაშორისო ურთიერთობებში. ამიტომაც ჩრდილოეთ ოსეთის სსრ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას საკითხებზე, რომლებიც ეხება რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკას, მათ შორის, რუსეთის დამოკიდებულებას უცხოეთის სახელმწიფოთა ტერიტორიებისადმი, არა აქვს არავითარი სამართლებრივი შედეგები რუსეთისათვის.

ამავე დროს ასეთი გადაწყვეტილება ხელს არ უწყობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარებას, შეაქვს დესტაბილიზაციის ელემენტი ჩრდილოეთ კავკასიის ვითარებაში.

რუსეთის ფედერაციის პოზიცია ამ საკითხზე ცნობილია: საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა ოსთა და სხვა ხალხთა ავტონომიების ეფექტიანი გარანტიების პირობებში. საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტები რაც შეიძლება მალე უნდა აღმოიფხვრას და რუსეთის მხარე მზად არის ამას შეუწყოს ხელი. სამხრეთ ოსეთში ვითარების მოწესრიგების საფუძვლები ჩამოყალიბებულია შეთანხმებაში ქართველთა და ოსთა კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ, რომელიც ხელმოწერილია 1992 წლის 24 ივნისს სოჭში.

1993 წლის 22 მარტი.

ვალერიან ადვაძე:

როგორც კი შევუდგები ელჩის მოვალეობის შესრულებას, დავიწყებ საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრის მომზადებას.

23 მარტს პარლამენტის სხდომის მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად იქნა მიჩნეული რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დანიშვნა. ეს საპატიო მისია, როგორც ცნობილია, დაეკისრა 62 წლის პროფესორს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს ვალერიან ადვაძეს. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა რესპუბლიკის პარლამენტმა. ბოლო დროს ვალერიან ადვაძე იყო პარლამენტის ეკონომიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ადრე კი მუშაობდა ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორად, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრად.

— ელჩის თანამდებობაზე დანიშვნა ჩემთვის მოულოდნელი იყო, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ვალერიან ადვაძემ. — მაგრამ მორალური უფლება არ მქონდა უარი მეთქვა. უჭირს დღეს საქართველოს. ამასთან, განსაკუთრებით რთულდება ახლა მისი ურთიერთობა რუსეთთან. ახალ პოსტზე ჩემს მთავარ ამოცანად მიმაჩნია რუსეთთან დავამყაროთ ისეთი თანასწორუფლებიანი, კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა, როგორიც აქვს სუვერენულ საქართველოს თურქეთთან, აზერბაიჯანთან, ირანთან და სხვა ქვეყნებთან. უპირველესად, როგორც კი შევუდგები ელჩის მოვალეობის შესრულებას, — თქვა ვალერიან ადვაძემ, — დავიწყებ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძისა და რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის შეხვედრის მომზადებას, რადგან ამ ეტაპზე სწორედ ამ შეხვედრამ უნდა შეიტანოს გარდატეხა ორი ქვეყნის ნორმალური ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესში.

ერთიან, ქართულ პოზიციაზე

ნოდარ ჭითანავა,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

I.

ბოლო ხანს ბევრ შეკითხვას ვიღებ. ზოგიერთს აინტერესებს, რატომ საჯაროდ არ გამოვხატავ ჩემს პოზიციას ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ, როგორია ჩემი გეგმები, რა საქმიანობას ვეწევი და სხვ. ყოველივე ეს ადამიანურად კარგად მესმის. ისიც ცნობილია ჩემთვის, რომ კონკრეტული ვითარება საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური და ა.შ. ამწიფებს აზრს, ამზადებს სათქმელს, თქმის ფორმასაც განსაზღვრავს. ბევრია სათქმელი.

ამჟამად ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე წინააღმდეგობრივი რთული პროცესების მიმართ ჩემი ზოგიერთი მოსაზრება მინდა გამოვთქვა. პოლიტიკური სფეროს საკითხებს გვერდს ვუვლი. რატომ?

პირველი, ქვეყანას დღეს ბევრი პოლიტიკოსი ჰყავს, მათ ვაცალოთ.

მეორე, პოლიტიკურ სფეროში პროცესები ზიგზაგისებურად ვითარდება, ბევრი მათგანი ღრმა გააზრებას მოითხოვს. პროცესებს დაღვინება ვაცალოთ. "შეგონება — ცხელ გულზე გადაწყვეტილებას ნუ მიიღებო, საყოველთაოდ დავამკვიდროთ. ამიტომაა, რომ ნებისმიერ სიტუაციაში, ნებისმიერ საკითხზე, ნებისმიერი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობას (ეს ბევრს დემოკრატიად ეჩვენება) ბოროტად ვიყენებთ და ამით კონფრონტაციას ვაღრმავებთ.

მესამე. ჩემს ყველა ნაბიჯში რატომღაც ყოველთვის „პოლიტიკური"—მონაწილეობს. ეს იყო მაშინაც, როცა აქტიური პოლიტიკური ასპარეზიდან სოფელში ჩემი სურვილით წავედი და რეალურ მიწათმოქმედებას მოვკიდე ხელი. მინდოდა მეჩვენებინა, რომ თავისუფლების გზაზე დამდგარ საქართველოს კონკრეტული შრომა, პრაქტიკული საქმე, სოფელზე ორიენტაცია გამოიყვანდა მძიმე მდგომარეობიდან. შემდგომში ჩემს მინისტრად დანიშვნას ათასი ყური მოაბეს. გულწრფელად ვამბობ, ეს ჩემთვის უმძიმესი ნაბიჯი იყო, მაგრამ იგი დიდი ყოყმანის შემდეგ სრული შეგნებით გადავდგი. ამ პოსტზე მუშაობამ შესაძლებლობა მომცა აგრარული მეურნეობის განვითარების პერსპექტივის განსაზღვრაში მოკრძალებული წვლილი შემეტანა.

გაჩუმებული არ ვყოფილვარ. შარშან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" აგრარული მეურნეობის განვითარების შესახებ ჩვენი ვრცელი მასალები დაიბეჭდა. წელს წიგნიც გამოვიდა. „საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები". ამჟამად ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელზე (უფრო სწორად მის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებზე ვმუშაობ) ალბათ ახლო მომავალში მეცნიერებასა და ახალგაზრდობის აღზრდის კონკრეტულ საქმეს მოვკიდებ ხელს. რაც შეეხება ეკონომიკის განვითარების მიმართ ჩემს პოზიციას, იგი დიდი ხანია საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე მყარად დგას.

II.

ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობას კარგად ვხედავთ, ყველა გრძნობს კრიზისის დამთრგუნველ ძალას. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ ლაპარაკმა ლამის წაგვლეკოს. პრაქტიკულად კი რეალური ნაბიჯები არ გადადგმულა. ეკონომიკის გაჯანსაღების ერთიანი სტრატეგია მთავრობას, სამწუხაროდ, დღესაც არა აქვს. ამასწინათ გამოქვეყნებული პროგრამა კონცეპტუალურ მოსაზრებათა მექანიკური ჯამია მხოლოდ, საუკეთესო შემთხვევაში, ლექციების მოსამზადებლად დამხმარე მასალად თუ გამოდგება (ჩემს მოსაზრებებს ამ საკითხზე ცალკე გამოვთქვამ). სახელმწიფოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკა არ გააჩნია, დღემდე არ ვიცით, საბაზრო ურთიერთობის როგორ მოდელზე ვიღებთ ორიენტაციას. ბევრს (ვისაც ევალება) ვერ გაურკვევია, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ქვეყნის მიზანია თუ მიზნების რეალიზაციის საშუალება, გზა. ეროვნული ეკონომიკა იმ ოდა სახლსა ჰგავს, რომელსაც შერჩა ერთი ცენტრალური ბოძი (საყრდენი) და ასასვლელი კიბე, წონასწორობას ამ ორ წერტილზე დაყრდნობით ინარჩუნებს თითქოს. პატრონი საცხოვრებლად მას ვერ იყენებს. ეშინია. საკმარისია უმნიშვნელო ბიძგი, რომ სახლი მთლიანად ჩაწვება. სახლის ბოძებით გამაგრება, უკვე გვიანაა. სახლი უნდა დაიშალოს. ეს კი მეტად ძნელია. პატრონმა დიდი სიფრთხილით უნდა მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება. შესაფერისი დროც შეარჩიოს, რაც მთავარია. გამოცდილ ოსტატებს ანდოს საქმე!

გაცილებით უფრო რთულია ეკონომიკის არსებული სტრუქტურების დემონტაჟის ობიექტურად განპირობებული პროცესი. რომლის გარეშეც ახალი ეკონომიკური და ორგანიზაციული სისტემების ჩამოყალიბება შეუძლებელია.

ოფიციალურ წრეებში მიიჩნევენ, რომ კაპიტალისტურ ეკონომიკას ვაშენებთ, არგუმენტად მხოლოდ იმას ასახელებენ, რომ იგი სოციალისტური ეკონომიკის ანტიპოდია. ასეთი აზროვნების დონეზე გაღრმავდა ეროვნულ ეკონომიკაში უაზრო, სტიქიური (ნაწილობრივ ორგანიზებული) ნგრევის პროცესი.

ამ პროცესში რამდენიმე ტენდენცია გამოიკვეთა: **პირველი:** სათავე დაედო საშუალო და წვრილი კომერციის, დიდი და მცირე ბიზნესის განვითარებას ძარცვის, კორუფციის და სპეკულაციის გზით ნაშოვნი კაპიტალისა და პროდუქციის მიმოქცევის ხარჯზე. ეს, ბუნებრივია, არ არის ჯანსაღი, ცივილიზებული ბიზნესის გზა.

მეორე. ეკონომიკის ნგრევა აშენების ერთიანი სტრატეგიისაგან (რამდენადაც იგი არ არსებობს) მოწყვეტილია, სტიქიურად, იზოლირებულად. მოსალოდნელი შედეგების გააზრების გარეშე ხორციელდება პრიმიტიული პრინციპით: „ვინ ვის დაასწრებს და რას მოასწრებს". ეროვნულ ეკონომიკაში არსებული სტრუქტურების დემონტაჟი უსისტემოდ მიმდინარეობს, რაც ეკონომიკის პერსპექტივას არსებითად ზღუდავს. ეს პროცესი ქაოსს აღრმავებს.

მესამე. ეკონომიკა, როგორც დარგთა ერთობლიობა, თავისი მიზნებით, ორგანიზაციითა და მართვის დონით, როგორც სისტემა, — დაიშალა; რეგულირების ობიექტიდან ცალკეულ პოლიტიკურ ძალებს დაქვემდებარებულ „სფეროებად" დაიყო და ეკონომიკის კვლავწარმოებით პროცესში მატერიალური საფუძველი გამოეცალა. პოლიტიკური ფენომენი მხოლოდ განაწილებისა და პირადი მოხმარების სფეროს კონტროლზე იღებს ორიენტაციას. ირღვევა ელემენტარული მოთხოვნა რომ გაანაწილო, უნდა აწარმოო, უნდა შექმნა. დღეს ისიც „ნაწილდება", რაც მატერიალური დოვლათის სახით შეიძლება საერთოდ არც შეიქმნას. ასეთი მდგომარეობა იმაზე მიუთითებს, რომ ეკონომიკა (დანაწევრებული გავლენის სფეროებად) პოლიტიკურ ფენომენსაა დამორჩილებული (პოლიტიკურ ძალებს ბევრი „მფარველი" ჰყავს) დამმორჩილებელმა არ იცის როგორ მართოს ეკონომიკური პროცესი, და მხოლოდ შედეგებს ელოდება. ამიტომ ცდებიან ისინი, ვინც ეკონომიკაში შექმნილ ასეთ სიტუაციას ადრე არსებულ „ჩრდილოვან ეკონომიკას" ადარებს. მათ შორის არაფერი საერთო არ არის. „ჩრდილოვანი ეკონომიკა" სოციალისტური ეკონომიკის (რომელიც ერთიან, ცენტრალიზებულ მართვას ექვემდებარებოდა) მხოლოდ ნაწილი, ელემენტი იყო. იგი ორიენტაციას ძირითადად პროდუქციის წარმოებაზე იღებდა. სწორედ ამიტომ შრომის მოტივაციის განსხვავებული გარემო-პირობების გამო ფაქტობრივად ორი დაპირისპირებული ელემენტი ერთ მთლიან სისტემად არსებობდა.

გზად მომავლისკენ

საბაზრო ეკონომიკა (მრავალწყობიანი) შრომის მოტივაციის ბუნებრივ საფუძველს აყალიბებს. ეს შანსი ეროვნულ ეკონომიკას დღეს აქვს... სამწუხაროდ ამ ხელსაყრელ პირობა-ფაქტორს ქვეყანა არ იყენებს, პირიქით, წარმოების პროცესი ყოველმხრივ იზღუდება. ბიზნესმენთა დიდი ნაწილი ქვეყნის გარეთ ეძებს სარბიელს, თავშესაფარსაც. ხელშემწყობი სოციალური გარემო გამოეცალა ეკონომიკურ ინტერესებს. ეს მომავალში უფრო გააღრმავებს კრიზისს. ეს პროცესი საერთო ძალისხმევით უნდა შევაჩეროთ.

მეოთხე. მრავალწყობიანი ეკონომიკისაკენ მიმავალ გზაზე სახელმწიფო ეროვნული ეკონომიკის განვითარების რთულ პროცესს ვერ არეგულირებს. ნაადრევად მოშალეს ის მექანიზმები, რომელთა გამოყენებითაც ახალ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის განვითარების ხელშემწყობი სამართლებრივი, ორგანიზაციულ-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური საფუძვლების სწორად ჩამოყალიბება შეიძლებოდა.

შარშან, ერთ-ერთ წარმომადგენლობითს შეკრებაზე, ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის შესახებ ჩემი მოსაზრება გამოვთქვი. აღვნიშნე, რომ მათი მხოლოდ აჩრდილი დადის საქართველოში. დღეს იძულებული ვარ ვთქვა, რომ „ეკონომიკური რეფორმების" დადებითი შედეგების აჩრდილიც არ ჩანს.

არ მინდა დავიჯერო, რომ ეს შეგნებულად გაკეთდა. რეფორმატორები კარგად არ იცნობენ მთავარ ობიექტს — საქართველოს ეკონომიკას, მის თავისებურებებს (ეს უარგუმენტოდაც კარგად ჩანს). იმასაც მიხვდნენ, რომ საქართველოს ახალი ეკონომიკა ეროვნული ფენომენიდან უნდა ამოიზარდოს. თუ ეს ასეა, მაშინ გულწრფელად მივესალმებით ასეთ ევოლუციას. ეს სწორ გზაზე ორიენტაციას მაინც ნიშნავს, თუმცა როგორი იქნება ეს გზა ჯერაც განსაზღვრული არ არის.

მეხუთე. მთავრობამ ორგანიზაციული და მმართველობითი თვალსაზრისით უხეში შეცდომა დაუშვა, როდესაც ე. წ. ოპერატიული და რეფორმისტული ზემოქმედების ცალ-ცალკე ობიექტად გადააქცია უშუალოდ წარმოების, განაწილების, გაცვლის, მოხმარების ერთმანეთთან დაკავშირებული პროცესები. სახელმწიფო სტრუქტურებში გავლენის სფერო ორ ნაწილად დაიყო. ერთ სტრუქტურას დარგში წარმოების პროცესი ოპერატიულად უნდა ემართა, მეორეს — უნდა დაემუშავებინა ამ დარგის განვითარების „რეფორმისტული ხაზი". ერთი ალთას, მეორე ბალთას.

მთავრობის დონეზე ვერ მოხერხდა მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ადეკვატური მმართველობითი სტრუქტურების ჩამოყალიბება-ფორმირება. სტრუქტურები, თანამდებობები, იქმნებოდა და იქმნება იმის მიხედვით, ვისზეცაა გათვლილი. მართვა, როგორც ეკონომიკის განვითარების პროცესებზე ზემოქმედების უმთავრესი ფაქტორი მოიშალა. „საფუძვლად" ასეთ პოლიტიკურ ნაბიჯს ის დაუდეს, რომ მართვა სოციალიზმის პირმშოა, რომმან დაღუპა სოციალისტური ეკონომიკა.

მართვა, როგორც სუბიექტური ფაქტორი, რომელიც ობიექტურად არსებობს, საგანგებო მნიშვნელობას სწორედ ისეთ რთულ სიტუაციებში იძენს, როგორშიც ჩვენი ეკონომიკაა დღეს (პროგნოზირება, კოორდინაცია, ორგანიზაცია, კონტროლი, ანალიზი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, კადრების კვალიფიკაცია და სხვ).

ეს საშიში სიმპტომია, პოლიტიკური ძალების არასწორად გადანაწილების ლოგიკური შედეგია. ამავე დროს, — ეკონომიკის განვითარების პერსპექტივისთვის ძირის გამოთხრის სათავეც. ასე გამთლიანდა ერთ ფენომენად დაბალი პროფესიონალიზმი, უპასუხისმგებლობა და პოლიტიკური ამბიციები.

დღევანდელ კრიზისულ სიტუაციაში უნდა გამოიკვეთოს ის ცენტრალური რგოლი, რომლის ამოქმედებით ამოძრავდება ყველა ის რეზერვი, რომელიც დღეს ეკონომიკას გააჩნია. ასეთია — ორგანიზაციული ფაქტორი. მაგრამ არა იმ პრინციპებზე, რომლებიც პრაქტიკულად ვიცნობდით. გვჭირდება ორგანიზაციული და მმართველობითი ურთიერთობების ახალი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს მრავალწყობიანი ეკონომიკის ჯერ ფორმირებას, შემდეგ მის ეფექტიან ფუნქციონირებას, ეკონომიკური ურთიერთობების (ეკონომიკური ინტერესების) ამოძრავებას, ეკონომიკისა და იმ პოლიტიკის ერთიანობას, რომელიც საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესის რეგულირების აუცილებლობას ემყარება.

III.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ მეცნიერება გვერდზე გადგა, ქვეყნის ქაოსიდან გამოყვანაში მასზე დაკისრებულ ფუნქციას ვერ ასრულებს. ის, რომ ქვეყანას ახალი ეკონომიკური ცხოვრების მეცნიერულად გააზრებული სტრატეგია არა აქვს, თითქოს იძლევა ასეთი დასკვნის საფუძველს.

მეცნიერების ეკონომიკის პრობლემებისაგან გაუცხოების ობიექტური და სუბიექტური მიზეზებიდან მხოლოდ რამდენიმე არსებითს გამოვყოფთ.

პირველი. მართვის ცენტრალიზებული სისტემის არსებობისას მეცნიერება ეკონომიკასთან „მშვიდობიანი თანაარსებობის" პრინციპებზე აგებდა ურთიერთობას. ეკონომიკის ორგანიზაციის, მართვის პრინციპები, ახალი სოციალურ-ეკონომიკური საკითხები მხოლოდ ქვეყნის ახალი ლიდერის პოზიციაზე იყო არსებითად დამოკიდებული; ათეული წლების მანძილზე „ერთხელ და სამუდამოდ" აღიარებული ეკონომიკური მოძღვრების საფუძველზე ეძებდა განვითარების გზას. ანტისაბაზრო იდეოლოგია მართავდა ეკონომიკას.

მანკიერი წრე ჩამოყალიბდა: ეკონომიკის გაცოცხლებას ბაზარი სჭირდებოდა, ბაზარს ძირითადად სხვადასხვა ტიპის (კერძო, სახელმწიფო) საკუთრება ქმნიდა. ეს უკანასკნელი სახელმწიფო იდეოლოგიის ეწინააღმდეგებოდა. ეკონომიკური მეცნიერება იდეოლოგიურ დოგმათა ჩარჩოს ვერ გასცდებოდა. ეს იყო იმის მიზეზი, რომ ტექნიკის, ტექნოლოგიის, ბიოლოგიური პროცესების განვითარებაში მომხდარი თვისებრივი ცვლილებების ადეკვატური წარმოების, შრომისა და მართვის ორგანიზაცია არ ყალიბდებოდა. წარმოებითი ურთიერთობანი მკაფიო წინააღმდეგობაში აღმოჩნდა საწარმოო ძალების განვითარების დონესთან. სოციალისტურმა ეკონომიკურმა მეცნიერებამ ამ წინააღმდეგობის დაძლევის გზა ვერ მონახა, რადიკალური რეფორმის აუცილებლობაში კი დარწმუნდა, მაგრამ მისი თანმიმდევრული განხორციელების ობიექტური კანონზომიერებანი ვერ განსაზღვრა. ამიტომ 1985 წელს მოუმზადებლად წამოწყებული რეფორმების („პერესტროიკის") პროცესი — ეკონომიკური სისტემების ლოგიკური დაშლით დამთავრდა. საქართველოში ზემოთ დასახელებულ ფაქტორებს მიემატა ისიც, რომ ეკონომიკის მართვაში გამოუცდელი ძალები მოვიდნენ. სახელმწიფომ ეკონომიკის მართვა თვითდინებაზე მიუშვა. ეკონომიკის ინტეგრირებული სისტემა, რთული დარგთაშორისი კავშირები, ორგანიზაციული სტრუქტურები, როგორც აღვნიშნეთ, ქაოსმა მოიცვა. ასეთ სიტუაციაში მეცნიერებამ ფუნქცია დაკარგა. ამდენად, ეკონომიკაში შექმნილ მდგომარეობას მხოლოდ ეკონომიკურ მეცნიერებას ვერ დავაბრალებთ. როცა ერთი პოლიტიკური და შესაბამისი ეკონომიკური წყობილება იცვლება, როცა საზოგადოება ერთი თვისებრიობიდან მეორეში გადადის, ეკონომიკას სჭირდება სწრაფი და მეტად მკაცრი ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური ცვლილებები, წონასწორობის შენარჩუნება. ამისათვის აუცილებელია სახელმწიფო რეგულირება. სამწუხაროდ, ეს პრინციპი უარყვეს ჩვენთან.

მიმაჩნდა, მიმაჩნია, რომ საბაზრო ეკონომიკის სრული თავისუფლება სახელმწიფოსაგან, როგორც ეს დღეს ბევრს აქვს წარმოდგენილი, ილუზიაა, დილეტანტების უმწიფარი აზროვნების ნაყოფი. მაშინ, როცა ქვეყანა განვითარების გზაჯვარედინზე დგას, მთავრობას მეცნიერებისათვის არც კი დაუკვეთია ეკონომიკური განვითარების არა თუ ალტერნატიული მოდელები, არამედ ერთადერთიც კი, ყოველ შემთხვევაში, ასეთი მოდელი დღესაც არ არსებობს.

მეორე. ეკონომიკური მეცნიერების გამოცალკევებამ, ნაშრომებმა ერთგვარი დევალვაცია განიცადა. ჩამოყალიბდა აზრი, რომ სოციალისტური პოლიტეკონომიისა და ეკონომიკურ სტრუქტურებზე გაზრდილი კადრების (ფაქტობრივად ყველასი, ვინც ცოცხალია) ცოდნა და გამოცდილება საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის თეორიული საფუძვლის მომზადებისათვის არ ვარგა. მეტიც იმასაც ამბობს, რომ მხოლოდ უცხოელ ექსპერტებს ძალუძთ ჩვენი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება. ვეთანხმები ყველას, ვისაც მიაჩნია, რომ გამოცდილი ექსპერტების მოწვევა გარკვეულ სარგებლობას მოგვიტანს. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი ჩვენს ეროვნულ ეკონომიკას, მის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს არ იცნობენ. საბაზრო ურთიერთობებზე ეროვნული ეკონომიკა სოციალისტური სტრუქტურების საკუთარ თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა გადავიდეს (ჩვენი მოსაზრებანი ამ საკითხზე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" შარშანდელ 4, 5, 6, 7 აგვისტოს ნომრებში გამოქვეყნდა).

ახლა მთავარია ეკონომიკაში მომუშავე მეცნიერთა ძალისხმევა მიზანდასახულად წარიმართოს. გულდასაწყვეტია, რომ ქვეყანა ეკონომიკური მეცნიერების პოტენციალს, „მთვლემარე" რეზერვებს საჭირო უკუგებით ვერ იყენებს. ეკონომიკური აზროვნების კონცენტრაცია აუცილებელია. საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოების შესაძლებლობანი მინიმალურადაც არ არის გამოყენებული. ასევე, კოორდინაციის გარეშე დარჩა უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური მეცნიერება. ეკონომიკური პროფილის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში მომუშავე გამოცდილი ეკონომისტების, ფინანსისტების, ბუღალტრების და სხვათა შესაძლებლობების ამოქმედება აუცილებელია.

ქვეყანას აქვს საინჟინრო-ტექნიკური აზროვნების მაღალი დონე. ამ პოტენციალს დღევანდელი რეფორმების ორგანიზატორები რატომღაც გვერდს უვლიან. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ორი ისტორიული პროცესის — ქვეყნის თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოპოვებისა და დღეს უკვე საკმაოდ დასაბუთებული ეროვნული ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გადაკვეთაზე წარმოქმნილი სიძნელეებით, წინააღმდეგობებით ფორმირებული კვანძის დაშლა შეუძლია ქვეყნის ეკონომიკური და საინჟინრო აზრის შეერთება-შერწყმას. სწორედ ეს ფაქტორი სჭირდება ეკონომიკის მართვის, ორგანიზაციის, ტექნოლოგიის, ეკონომიკური ინტერესების ერთიან მთლიან პროცესში მიზანმიმართულ მოქმედებას, ისეთ საგანგებო ეტაპზე, როგორიცაა ეკონომიკის ახალ თვისებრიობაში გადაყვანა.

ამ რთული პროცესის რეგულირებას მინიმუმ სამი პირობა-ფაქტორი აუცილებლად სჭირდება: კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციების სრული გათვალისწინებით, წინააღმდეგობებით გაწონასწორებულ საფუძველზე ფორმირებული სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და დიდი ინვესტიციები.

IV.

რა უნდა გაკეთდეს პრაქტიკულად? ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პროგრამების, კონცეფციების, მოსაზრებების შეჯერება, უნდა მოხდეს საქართველოს მეცნიერებათა, სოფლის მეურნეობისა და საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიების ხელმძღვანელობით. უნდა დამუშავდეს ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების მოდელი, და იგი საზოგადოებაში (პირველ რიგში, სამეცნიერო წრეებში, შესაბამის დარგობრივ სტრუქტურებში) განხილვის და მოწონების შემდეგ წარედგინოს პარლამენტს განსახილველად. ჩვენი აზრით, ინტენსიური მუშაობის პირობებში ამის გაკეთება სამ თვეში შეიძლება.

მთავრობამ მეურნეობის ყველა დარგში ოპერატიული მართვის ისეთი პრაქტიკული მექანიზმი უნდა აამოქმედოს, რომელიც საჭირო ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ რეჟიმს დაიცავს; ყველა სამეურნეო ორგანიზაციაში უზრუნველყოფს ბიუჯეტის შემოსავლის შესრულებას, საერთო საფინანსო, სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვას.

ქაოსიდან გამოგვიყვანს ჩვენი ძალების სწორი ორგანიზება, საკადრო, სამეცნიერო, სამეურნეო პოტენციალის შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენება.

გარკვეული მოსაზრებების გამო ნებისმიერი მთავრობის კაბინეტის მიმართ ხელაღებით კრიტიკის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, ვარ, ვიქნები. კარგად ვიცი როგორ კრიზისულ სიტუაციაშია მთავრობა, იქნება მომავალშიც, მაგრამ როცა საქვეყნო საქმე ფუჭდება, იმის გამო, რომ მოჭარბებული უპასუხისმგებლობა აღზევდა, როცა პროფესიონალიზმს მხოლოდ გარკვეულ საცერში გატარების შემდეგ „აღიარებენ", პირად ამბიციებზე მაღლა უნდა დავდგეთ.

თუ ვითარებამ მოითხოვა, ყველა ჩვენთაგანი გააკეთებს იმას, რასაც საჭიროდ ჩათვლის ქვეყნის გადასარჩენად.

ვოცნებობ იმ დღეზე, როცა ყველა ოპოზიციური ძალების ერთ „ქართულ პოზიციად" გამთლიანება მოხდება, თუნდაც მთავარში — ქართველების უპასუხისმგებლობით დამარცხებულ საქართველოს წამოდგომა-გაძლიერება-განმტკიცებაში!

ევროგაერთიანება ელის



საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით საქართველოს რესპუბლიკის ევროპულ სტრუქტურებში ჩართვისა და ევროპის ქვეყნებთან მრავალმხრივი თანამშრომლობის მიზნით დაარსდა ევროპულ გაერთიანებასთან (ქ. ბრიუსელში) ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური მისია, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა ბატონი ზურაბ აბაშიძე.

დღეს როცა ასე უჭირს საქართველოს, როდესაც ჩვენში მძვინვარებს ომი, შინაშფოთი, ეკონომიკური კრიზისი ევროგაერთიანებაში საქართველოს დიპლომატიური მისიის გახსნა მეტად მრავლისმეტყველი და იმედისმომცემი ფაქტია.

— ევროგაერთიანება. ჩვენში უკვე ხშირად ჩამოდიან მისი წარმომადგენლები, ექსპერტები, მისიები, სწავლობენ პრობლემებს, გვიწევენ ჰუმანიტარულ დახმარებას, გვიყოფენ კრედიტებს, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის. მაგრამ ჩვენი საზოგადოებრიობა ჯერაც ნაკლებად იცნობს ევროპის მოწინავე სახელმწიფოთა ამ უდიდესი გაერთიანების საქმიანობას, მის როლსა და მნიშვნელობას.

ქართველ დიპლომატებს

აქტუალური ინტერვიუ

— რას გვეტყვით მის შესახებ და როგორ გაქვთ წარმოდგენილი ის მისია, რომელიც თქვენ, როგორც საქართველოს წარმომადგენელს, დაგეკისრათ ამ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციაში? — ამ კითხვით დავიწყეთ ჩვენი საუბარი ბატონ ზურაბ აბაშიძესთან.

— მოგახსენებთ... ბრიუსელი, სადაც მდებარეობს ევროგაერთიანების აღმასრულებელი ორგანოს —ევროკომისიის შტაბბინა, ფაქტობრივად გახდა ევროპის პოლიტიკური დედაქალაქი. როგორც იცით, აქვეა განლაგებული ნატოსა და სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციების შტაბბინები.

ევროგაერთიანება არის ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის უმთავრესი საკოორდინაციო ორგანო, რომელშიც ევროპის 12 წამყვანი ქვეყანაა გაერთიანებული. ამ გაერთიანებას აქვს თავისი საკანონმდებლო ორგანო — ევროპარლამენტის სახით — სტრასბურგში, აღმასრულებელი ორგანო — ევროკომისია ქ. ბრიუსელში, ასევე უზენაესი სასამართლო, მინისტრთა საბჭო. შარშან ამ სახელმწიფოთა შორის მიღწეული ხელშეკრულების თანახმად ევროპის ამ ცნობილი ქვეყნები უნდა გაერთიანდნენ ერთიან კავშირში, რომელიც კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესს, რომელიც ითვალისწინებს ერთიანი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიის შემუშავებას.

ევროგაერთიანებაში შემავალ 12 ქვეყანას შორის მიმდინარე წლის დასაწყისიდან უკვე ხორციელდება ე. წ. თავისუფლების 4 პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს კაპიტალის, მომსახურების, საქონლისა და მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებასა და გაცვლას.

ეკონომიკური თვალსაზრისით ევროგაერთიანება არის მსოფლიოს უდიდესი ერთიანი ბაზარი, გაცილებით მნიშვნელოვანი ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია.

აი, სწორედ ამ გაერთიანებასთან, რომელთანაც მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანას (მათ შორის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსაც) აქვს კავშირი, საქართველო ხსნის თავის დიპლომატიურ მისიას, რაც მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი სახელმწიფოსა და ხალხის ცხოვრებაში.

— როგორც ვიცი, თქვენთვის დიპლომატიური სამუშაო უცხო არ არის, რადგან წლების მანძილზე მუშაობდით ინდოეთში, შემდეგ კი ესპანეთში, როგორ ფიქრობთ ამ გამოცდილების გამოყენებას და ჩვენი რესპუბლიკისათვის რა უმთავრესი ამოცანები იქნება გადასაწყვეტი ევროგაერთიანების დახმარებით?

— ვიდრე კონკრეტულად ამაზე გესაუბრებოდეთ, ერთ მაგალითს მოვიყვან იმის თაობაზე, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთი ბრიუსელს, როგორც მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს ცენტრს. რუსეთს აქ სამი დიპლომატიური წარმომადგენლობა აქვს: თვით რუსეთის საელჩო ბრიუსელში, შემდეგ რუსეთის წარმომადგენლობა ევროგაერთიანებასთან და ბოლოს, მისი წარმომადგენლობა ნატოში.

რაც შეეხება ჩვენს მისიას, მის მთავარ მიზნად მესახება საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ჩართვისა და ევროპულ ქვეყნებთან მრავალმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, აქვეა ნატოს შტაბბინაც. ბალტიის ქვეყნებმა უკვე მოაწერეს ხელი ევროგაერთიანებასთან თანამშრომლობის ხელშეკრულებას. ახლა მიმდინარეობს მზადება იმისათვის, რომ ისინი მიიღონ გაერთიანების ასოცირებულ წევრებად. ჩვენც უნდა დავიწყოთ მუშაობა ამ მიმართულებით. ცხადია, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ის საშუალებები და რესურსები, რასაც ევროგაერთიანება დახმარების სახით გამოყოფს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის. მოგეხსენებათ, წელს ევროგაერთიანების მიერ გამოყოფილი კრედიტებით შეძენილი პროდუქტი მნიშვნელოვნად დაეხმარება გაჭირვებაში ჩავარდნილ საქართველოს.

ვინაიდან ეს მისია საქართველოს პირველი დიპლომატიური წარმომადგენლობა იქნება ევროპაში, ცხადია, ჩვენი ხელისუფლების დავალებების შესრულება მოგვიწევს დასავლეთ ევროპის მთელ რეგიონში, რაც მეტად შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმეა, მით უმეტეს, დღევანდელ ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში. ამასთან, ვფიქრობ, რომ ჩვენი მისია შეასრულებს აგრეთვე საინფორმაციო სააგენტოს ფუნქციებსაც, რათა მაქსიმალურად ოპერატიულად მიაწოდოს როგორც სამთავრობო ორგანიზაციებს, ისე წამყვან საინფორმაციო სააგენტოებს უტყუარი ობიექტური ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, მათ შორის აფხაზეთის კონფლიქტზე. ამასთან, ჩვენი მისია ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ევროპის ქვეყნებთან საქართველოს სამეცნიერო, კულტურული და ჰუმანისტური კავშირების დამყარებას.

— ბატონო ზურაბ, მოგეხსენებათ, ევროპის ქვეყნებში ბევრი ქართველი ცხოვრობს, არის ქართული სათვისტომოები, ცენტრები. ალბათ, არც ეს მომენტი დაგრჩებათ მხედველობის გარეშე, მით უმეტეს რომ უკანასკნელ წლებში თქვენ როგორც საქართველოს უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარეს ბევრი რამ გაკავშირებდათ მათთან.

— მართალი ბრძანდებით. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ კიდევ უფრო საქმიანი გავხადოთ ჩვენი კონტაქტები ქართულ სათვისტომოებთან, ცალკეულ მოღვაწეებთან. როგორც იცით, ბელგიაში შექმნილია ბელგია-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება, ქართული კულტურის ცენტრი. მაგალითად, ვალონიის მხარეში შექმნილ ასეთი ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზას საწყის ეტაპზე ალბათ გამოვიყენებთ ჩვენი მისიისათვის.

გეგმები დიდი გვაქვს... იმასთან ერთად, რაზეც ადრე მოგახსენეთ, ჩვენს მუშაობაში დიდ ადგილს დავუთმობთ ზრუნვა ჩვენი ახალგაზრდებისა და სპეციალისტების ევროპაში სასწავლებლად და კვალიფიკაციის ამაღლებლად გაგზავნის საკითხებზე.

ასე რომ, როგორც ხედავთ, საქმე ნამდვილად ბევრი გვექნება. მინდა დავარწმუნო ჩვენი საზოგადოებრიობა იმაში, რომ არ დავიშურებთ ცოდნას, გამოცდილებას, ენერგიას იმისათვის, რომ გამოვადგეთ ჩვენს ხალხსა და ქვეყანას, სწორედ ასეთი რთული და დაძაბული ვითარების ჟამს.

— რა შემადგენლობით ახორციელებთ ამ მისიის შესრულებას?

— ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მისიაში ვიმუშავებთ მხოლოდ ორი დიპლომატი, — მართალია, ეს ძალზე ცოტაა იმ ამოცანების ფონზე, რომლებიც ჩამოვთვალე, მაგრამ ჩვენს ქვეყანას ჯერჯერობით მეტი შესაძლებლობა არ გააჩნია. სწორედ ახლა გვმართებს ყველას ვაკეთოთ საქვეყნო საქმე და გავაკეთებთ კიდეც...

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და კეთილი გზით გევლოთ, ბატონო ზურაბ!

ესაუბრა
გია ჭელიძე.

შველა ჩვენშივეა—თქვენში და ჩვენში!

მიმართვა მდინარე გუმისთის იქითა ნაპირზე დარჩენილ აფხაზ ხალხისადმი

თანამემამულენო — სხვანაირად ვერ მოგმართავთ — რამეთუ ერთი მიწა-წყლის შვილები ვართ. საუკუნეთა მანძილზე ერთ დროშის ქვეშ ვიდექით, ერთ ენაზე ვისმენდით წირვა-ლოცვებს, ერთი მეფე და მსაჯული გვყავდა. ახლა ყველაფერი აირია. აიმღვრა წყალი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ დადგება ჟამი მშვიდობისა, ჟამი ურთიერთმიტევებისა.

21-ე საუკუნის კარიბჭესთან მისულნი ბარბაროსული სისასტიკით ვხოცავთ ერთმანეთს და არც ვკითხულობთ რატომ, ვის სჭირდება ადამიანთა სიცოცხლით ასე თამაში, ვის სჭირდება ეს ომი ორ ხალხს შორის, რომელსაც ერთი სამშობლო აქვთ და საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთის ჭირისა და ლხინის მოზიარენი არიან?"

პასუხი ერთია! — არავის, ამ ომის ინსპირატორები ქართველი და აფხაზი ხალხის მტრები არიან. გუდაუთის დაჯგუფების სახელით რუსეთის შეიარაღებული ძალების თვითმფრინავები ბომბავენ სოხუმს — ქართველთა და აფხაზთა უსაყვარლეს ქალაქს. მიწასთანაა გასწორებული ათეულობით სოფელი, თუ დასახლება. მაგრამ... რუსეთთან ალიანსში მყოფ გუდაუთელ სეპარატისტთა ხროვას გამარჯვება არ უწერია, რადგან ოდითგან ასეა ნათქვამი, ორმოს მთხრელი თავისსავე ორმოში ვარდება.

ჩემთან ხშირად მოდიან ადამიანები — რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ამ ომის მთელი საშინელება. მოდიან, რეკავენ გატანჯულნი, განაწამებნი, ისინი მიყვებიან თავიანთ გასაჭირზე. იმაზე თუ რა არაადამიანური ულმობლობით უსწორდებიან აფხაზი და დაქირავებული „ბოევიკები" მშვიდობიან მოსახლეობას. როგორ მიზანმიმართულად აძევებენ ქართველებს მამა-პაპისეული საცხოვრისიდან, როგორ არბევენ ყველაფერს, რაც აბადიათ, როგორ ატყვევებენ და შეურაცხყოფენ.

ახალსოფლიდან 800 კაცი გაასახლეს, ლიძავიდან 200-ზე მეტი. ეშერაში, ალახაძეში, ლიხნში, ბზიფში ქართველს აღარ ედგომება. როგორც ამბობენ, ქართული სოფლები საკონცენტრაციო ბანაკებს დაემსგავსა.

აღარაფერს ვამბობთ გაგრა, ლესელიძესა და განთიადში დატრიალებულ ტრაგედიაზე, ქართველი ხალხის მასობრივ ჟლეტაზე. სოხუმის დაქცეულ, გაპარტახებულ უბნებზე, რაც თვალნათლივ მიუთითებს გუდაუთის ნომენკლატურული ელიტის ნამდვილ ზრახვებზე. ყოველივე ამას შიშით მოგვიყვებიან გაგრიდან, გუდაუთიდან და სხვა ადგილებიდან ლტოლვილი, განაწამები ადამიანები.

ჩემთან მოდიან ტყვედჩავარდნილთა ახლობლები, ისინი შეძრწუნებულნი არიან ტყვედქმნილთა ბედით, რამეთუ აფხაზთა მხარის მიერ ტყვეთა განადგურებისა და წამების უამრავი შემთხვევაა დაფიქსირებული.

თითქმის ორი თვე ტყვედ ჰყავდა გუდაუთის დაჯგუფებას ექიმი, წითელი ჯვრის წარმომადგენელი ი. კვალიაშვილი. არსად, არც ერთ ქვეყანაში არ ატყვევებენ წითელი ჯვრის წევრებს. განა საგულისხმო არ არის ის ფაქტი, რომ მხოლოდ ყოვლად უსაფუძვლო წინა პირობების შესრულების შემდეგ მოხერხდა ი. კვალიაშვილის განთავისუფლება.

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, მინდა მიტევება და შენდობა გახდეს ჩვენს შორის შუამავალი. ჩავაგოთ ხმლები ქარქაშში, მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას.

აფხაზო ვაჟკაცებო! მოგმართავთ თხოვნით, ფხიზელი თვალით შეაფასოთ შექმნილი ვითარება, დაინახოთ ის უფსკრული, რომლის წინაც ახლა ვდგავართ, შემდეგი ნაბიჯი ომისკენ კი ამ უფსკრულში გადაჩეხვას ნიშნავს.

შველა ჩვენშივეა — თქვენში და ჩვენში — მოსთხოვეთ გუდაუთის დაჯგუფების თავკაცებს შეწყვიტონ ომი. ნუ თესავენ სიძულვილს ჩვენს ხალხებს შორის, ნუ აღვივებენ ღვარძლსა და გესლს, ნუ მიერეკებიან სასაკლაოზე უდანაშაულო, მოტყუებულ ადამიანებს, გაითვალისწინეთ, რომ თქვენს მიერ თავის მიწა-წყლიდან აყრილი ქართველები აუცილებლად დაუბრუნდებიან თავიანთ კერებს. ამიტომაც ნუ მოვიმოქმედებთ იმას, რომ ვერ შევძლოთ ერთმანეთის მეზობლად ცხოვრება.

გუმისთის მეორე ნაპირზე მყოფო აფხაზო დედებო! დაიფარეთ თქვენი შვილების სიცოცხლე, თქვით „არა" ამ უაზრო ომზე.

საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე
სანდრო კავსაძე.

გონს მოეგეთ, აფხაზებო, შევწყვიტოთ სისხლისღვრა!

სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის" ნაფიცთა საბჭოს განცხადება

დღეს საქართველო ისტორიული უღელტეხილის კრიტიკულ წერტილს მიადგა. აშკარა გახდა რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. ასობით ახალგაზრდა ეწირება მოტყუებული აფხაზი და დაქირავებული მკვლელების ტყვიას.

დიდია მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი. ასეულ ათასს მიაღწია აფხაზეთიდან ლტოლვილთა რაოდენობამ.

საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საშიშროება დაემუქრა. ასეთ ვითარებაში „ლემის" ნაფიცთა საბჭოს გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია მთელი ქართველი ერის და საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქის დარაზმვა ჩვენი სამშობლოს დასაცავად. გამარჯვებისათვის საჭიროა: გონიერება, ერთიანობა, სიმტკიცე, მაღალი დისციპლინა. ერთი მიზნით და ერთი აზრით მოქმედება. ამის მიღწევა შესაძლებელია, თუ დროებით მაინც დავივიწყებთ წყენას, დაპირისპირებას და შეურიგებლობას, რა მოტივითაც უნდა იყოს იგი განპირობებული. საერთო უბედურებამ უნდა გაგვაერთიანოს. უნდა გაერთიანდეს ყველა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია. შეიქმნას ერთიანი პოლიტიკური ფრონტი — ეროვნული ინტერესების დასაცავად.

ერის ინტერესების დაცვის წინა ხაზზეა სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი". მის წევრთა უმრავლესობა აქტიურ მონაწილეობას იღებს აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში. ისინი გმირობის საუკეთესო მაგალითებს აჩვენებენ. ათობით „ლემელი" შეეწირა საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლას. არის ბევრი დაჭრილი და დასახიჩრებული.

ამჟამად შექმნილია და საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში იბრძვის „ლემის" ლეგიონი.

ამასთან ერთად „ლემის" ნაფიცთა საბჭო თვლის, რომ ამ ომის გაჭიანურება სიკეთეს არ მოუტანს არც აფხაზ და არც ქართველ ხალხს. შექმნილი მდგომარეობიდან ყველაზე კარგი გამოსავალია დაუყოვნებლივ შევიდეს ძალაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1993 წლის 29 იანვრის რეკომენდაციები აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ყოველგვარი წინასწარი პირობების დაუთქმელად.

აფხაზეთის კონფლიქტი უნდა მოგვარდეს მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით.

ლემის ნაფიცთა საბჭო მოუწოდებს აფხაზ ხალხს გონს მოეგოს. აფხაზი ხალხის გონიერებას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სისხლისღვრის შეწყვეტაში.

თბილისი.
1993 წლის 20 მარტი.

პასუხისმგებლობა ამ აგრესიისათვის უნდა დაეკისროს რუსეთის ხელისუფლებას!

**მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციებს,
ინფორმაციის მასობრივ საშუალებებს,
მსოფლიოს საზოგადოებრიობას,
თანამეგობრობის ქვეყნების პარლამენტებს,
რუსეთის უზენაეს საბჭოს,
ქვეყნის პრეზიდენტს ბატონ ბორის ელცინს
და რუსეთის პროგრესულ ძალებს**

საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია და საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ლიგა, გმობენ რუსეთის აგრესიას, მიმართულს საქართველოს წინააღმდეგ, მათ სწრაფვას მიიტაცონ საქართველოს ტერიტორიის ნაწილი აფხაზეთი და შემდგომშიც ეთნოკონფლიქტების ინსპირირებით, პოლიტიკური, ეკონომიკური ინფორმაციული ბლოკადის ზეგავლენით წაართვან სხვა ტერიტორიაც და აიძულონ საქართველო უარი თქვას დამოუკიდებლობაზე და დარჩეს რუსეთის ქვეშევრდომად.

მიგვაჩნია, რომ პასუხისმგებლობა ამ აგრესიისათვის, რასაც რუსი მეომრებისა და რუსეთის ფედერაციიდან დაქირავებულთა აქტიური მონაწილეობით, აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია, ნგრევა და მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი მსხვერპლი მოჰყვა, უნდა დაეკისროს არა რომელიმე პოლიტიკურ ძალას, რასაც ხშირად აღნიშნავენ ხოლმე, არამედ რუსეთის ხელისუფლებას, პირადად ქვეყნის პრეზიდენტს. ამასთანავე, ვიზიარებთ საქართველოს ხელისუფლებისა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა უმეტესობის, მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების მისწრაფებას მხარი დაუჭირონ რუსეთის დემოკრატიულ ძალებს მათ ბრძოლაში წინაღუდგნენ რეაქციულ-კონსერვატიულ-რევანშისტებს, რომელთაც სურთ რუსეთი ააცდინონ განვითარების ცივილიზებულ გზას და აღადგინონ ტოტალიტარული, იმპერიულ-შოვინისტური წყობილება, რაც დაღუპვას უქადის არამარტო რუს ხალხს.

საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია და საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ლიგა მოგმართავთ, რათა ხმა აღიმაღლოთ საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიისა და ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში მათი ჩარევის აღსაკვეთად. რუსეთის ხელისუფლებას, ქვეყნის პრეზიდენტს მოვუწოდებთ: პატივი სცენ და დაიცვან საერთაშორისო სამართლის პრინციპები, რომელიც ითვალისწინებს ადამიანთა უფლებების დაცვას, სხვა ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიის ხელშეუხებლობას, მათ შინაურ საქმეებში ჩაურევლობას, თუ ისინი ნამდვილად აპირებენ დემოკრატიული გზით ქვეყნის განვითარებას. იმედი გვაქვს, რუსი ხალხი, მისი პროგრესული ნაწილი გაგებით მოეკიდება ჩვენს მიმართვას.

საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტიის გამგეობა და საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ლიგის სათათბირო.
ქ. თბილისი.
1993 წლის 20 მარტი.

რუსეთის მხარე ხელს უწყობს გუდაუთელ სეპარატისტთა ყაჩაღურ მოქმედებას!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ უკვე არაერთგზის აუწყა მსოფლიოს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ აფხაზ სეპარატისტთა მიერ გაჩაღებულ საომარ მოქმედებაში უშუალოდ მონაწილეობენ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, მათ შორის რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები.

ფაქტობრივად მათ არასდროს რავისგან არ დაუმალავთ, რომ გუდაუთელ ექსტრემისტთა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს მხარს უჭერენ საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია — კავკასიის ხალხთა კონფედერაცია, რომელიც აერთიანებს რუსეთის ჩრდილოკავკასიური ავტონომიების მოსახლეობის ყველაზე რეაქციულ ნაწილს, კაზაკები, დაქირავებულები მოსკოვიდან, სანქტ-პეტერბურგიდან და რუსეთის ზოგიერთი სხვა ქალაქიდან. ამას ადასტურებს ტყვეთა ჩვენებაც, და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, უწინარეს ყოვლისა თავად რუსეთის საინფორმაციო საშუალებების ცნობები. რუსეთის საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ აშკარად იწვევდნენ დაქირავებულებს აფხაზეთში ომისათვის, რასაც ტელეკრანით ეწეოდა სახელგატეხილი სანქტ-პეტერბურგელი კორესპონდენტი ალექსანდრე ნევზოროვი. სამწუხაროდ, ასეთ პრაქტიკას ხელს უწყობენ რუსეთის ფედერაციის ოფიციალური ორგანოები. კერძოდ, რუსეთის უზენაესი საბჭოს მეხუთე სესიამ ჩაშალა 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტის დებულებები, რითაც ხელი გაუხსნა გუდაუთელ მმართველებსა და მათ დამქაშებს. სესიის გადაწყვეტილებები სამოქმედო სიგნალი გახდა გუდაუთის რაიონში დისლოცირებული რუსეთის ჯარების ოპერატიული ჯგუფისთვისაც, რომლის სარდლობამაც სხვადასხვა ყურით მოთრეული საბაბით არაერთხელ გაგზავნა ხელქვეითნი იმ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ სისხლიანი დანაშაულის ჩასადენად, რომელიც აღმოჩნდა სუვერენული საქართველოს სახელმწიფოს საომარი მოქმედების ზონაში მოქცეულ ქალაქებსა და სოფლებში.

ამ კონფლიქტის დროს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო თვითმფრინავები სისტემატურად ესხმოდნენ თავს და ბომბებსა და რაკეტებს უშენდნენ ზონას, რომელსაც აკონტროლებს საქართველოს შეიარაღებული ძალები. მაგალითად, 1992 წლის 5 ოქტომბერს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სუ-25 თვითმფრინავმა დაბომბა მდინარე გუმისთაზე საქართველოს არმიის პოზიციები. ასეთი აქციები შემდეგ სისტემატური გახდა. 15 ნოემბერს რუსეთის სუ-25 თვითმფრინავებმა დაბომბეს დასახლებული პუნქტი კელასური. 4 დეკემბერს ისინი ბომბავდნენ ქალაქებს სოხუმსა და ოჩამჩირეს. მიმდინარე წლის 20 თებერვალს სოხუმის ღამით დაბომბვის შედეგად 20 ოჯახი ღია ცის ქვეშ დარჩა, ერთი ადამიანი დაიღუპა და 50 დაიჭრა. 4, 5 და 8 მარტს ქალაქს ცეცხლს უშენდნენ უახლესი თვითმავალი საარტილერიო დანადგარების „ნონას" და „აკაციის", „ვასილიოკ" ნაღმსატყორცნების მეშვეობით. აფხაზი სეპარატისტების შეიარაღებაში თვით ამ დანადგარების არსებობა მოწმობს, რომ მათ ეხმარებიან რუსეთის შეიარაღებული ძალები.

გუდაუთელმა ექსტრემისტებმა და მათმა დამქაშებმა მნიშვნელოვნად გააქტიურეს მოქმედება მას შემდეგ, რაც გუდაუთას ეწვია რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი პ. გრაჩოვი, რაზეც საქართველოს ხელისუფლებას სანქცია არ მიუცია. კერძოდ, მასირებული იერიში მიიტანეს სოხუმზე, რასაც წინ უძღოდა ძლიერი საარტილერიო მომზადება და რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო თვითმფრინავების მიერ ჰაერიდან დაბომბვა. 15, 16 და 17 მარტს, სამი დღის განმავლობაში, ძირითადად ღამით, დაბომბეს სოხუმის მჭიდროდ დასახლებული უბნები, რის შედეგადაც დაინგრა დაახლოებით 120 საცხოვრებელი სახლი, დაიღუპა და დაიჭრა 40 მშვიდობიანი მცხოვრები. ქალაქში ჩამოყარეს რუსეთის წარმოების 250 და 500-კილოგრამიანი ბომბები, რომელთაგან ზოგიერთი არ აფეთქდა. მანამდე ერთი კვირით ადრე გაგრასა და გუდაუთაში რუსეთ-საქართველოს საზღვრით მდინარე ფსოუდან აფხაზმა სეპარატისტებმა შემოიტანეს დიდძალი ჯავშანტექნიკა, საარტილერიო დანადგარი, ტყვია-წამალი და საწვავ-საპოხი მასალები დიდი მასშტაბის საბრძოლო ოპერაციის განხორციელებისათვის. იმავე გზით მოდიოდა რუსეთის შეიარაღებული ძალების კადრის სამხედროებისა და რუსეთის მოქალაქეებისაგან შემდგარი ცოცხალი ძალა. დოკუმენტურად დადასტურებული არსებული მონაცემებით სოხუმის შტურმში უშუალოდ მონაწილეობდნენ რუსეთის არმიის კადრის სამხედრო მოსამსახურეები, მოიერიშეებს კი ინსტრუქციას უწევდნენ ცნობილი „ალფა" ჯგუფის სპეციალისტები. ალბათ სწორედ ისინი ჰყავდა მხედველობაში ვ. არძინბას, როცა ამა წლის 20 მარტს გუდაუთის რადიოთი გადაცემულ ხალხისადმი მიმართვაში ლაპარაკობდა უმაღლესი კლასის სპეციალისტებსა და სპეცქვეგანაყოფებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ სოხუმის აღების ოპერაციის მომზადებასა და განხორციელებაში. ქალაქს უშენდნენ ყველა სახეობის ლულიანი და რეაქტიული არტილერიის ცეცხლს, რომელსაც ემსახურებოდნენ რუსეთის კადრის სამხედროები. მეტი წილი ტანკებისა და ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანების ეკიპაჟები აგრეთვე დაკომპლექტებული იყო რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებით.

რადიოდაზვერვით დადგინდა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის საჯარისო ნაწილები აფხაზ სეპარატისტებს აწვდიდნენ სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციას. ბომბორის აეროდრომიდან წარმოებს ჰაერში საბრძოლო მოქმედების კოორდინაცია. სოხუმთან მოწყობილი სამხედრო ავანტიურის წარუმატებლობის შემდეგ რუსეთის უმაღლესმა სამხედრო ხელმძღვანელობამ, უტყუარი ფაქტების მიუხედავად, როგორც ყოველთვის, ცინიკურად უარყო თავისი აშკარა მონაწილეობა სუვერენული საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში და ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის პ. გრაჩოვის ლოგიკით, ქართველი სამხედროები ანადგურებენ საკუთარ თავს და თავის მშვიდობიან მოსახლეობას. ასეთი მტკიცებები გრძელდებოდა მას შემდეგაც, რაც საქართველოს საჰაერო თავდაცვის საშუალებებმა 19 მარტს ჩამოაგდეს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი სუ-27 საბრძოლო თვითმფრინავი, რომელსაც მართავდა მაიორი ვ. შიპკო. იგი გუდაუთის ბომბორის სამხედრო აეროდრომზე მიავლინეს სოხუმის შტურმის წინ.

არღვევს რა საერთაშორისო შეთანხმებებს, რუსეთის მხარე ხელს უწყობს გუდაუთელ სეპარატისტთა ყაჩაღურ მოქმედებას. ისინი, კერძოდ, არაერთგზის დაესხნენ თავს სავაჭრო გემებს, რომლებსაც გადაჰქონდათ ჰუმანიტარული ტვირთი და გადაჰყავდათ მგზავრები. ამასთან ტვირთს ძარცვავენ, მგზავრებს ეთნიკური ნიშნით მძევლებად იყვანენ, გემებს ითვისებენ. იყო შემთხვევებიც, როცა დაცხრილეს გემები, რომლებსაც ლტოლვილები გადაჰყავდათ, ამის გამო კი მგზავრები ან იღუპებოდნენ, ან სახიჩრდებოდნენ. ყოველივე ეს კეთდება რუსეთის ჯარების წაყრუებით, რომლებიც ყალბი ნეიტრალიტეტით ინიღბებიან, ფაქტობრივად კი არღვევენ 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტის მესამე და მეოთხე პუნქტებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სამხედრო წრეების აგრესიულ მოქმედებას თან სდევს რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სიცრუისა და ცილისწამების გავრცელების ფართო მასშტაბის კამპანია, რისთვისაც პასუხისმგებლობას არავინ კისრულობს.

ზემოთქმულთან დაკავშირებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია მტკიცე პროტესტი განაცხადოს იმის გამო, რომ რუსეთის ფედერაცია აგრესიას ეწევა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, ნებაზე მიუშვა რუსეთის მოქალაქე ტერორისტი ელემენტები, ხელს უწყობს გენოციდს, რომელიც ხორციელდება ქართველი ხალხის მიმართ.

ამასთანავე ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვაიგივებთ ამ დანაშაულებრივ მოქმედებას რუსი ხალხის ნებასთან და ვიმედოვნებთ, რომ დემოკრატიული ძალები, რუსეთის პრეზიდენტი ყოველ ღონეს იხმარენ რეაქციონერთა ალაგმვად, რომლებიც თელავენ საქართველოსა და რუსეთის ისტორიულად კეთილმეზობლურ, მეგობრულ ურთიერთობას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
თ. ნადარეიშვილი.
ქ. სოხუმი.
1993 წლის 20 მარტი.

ჩვენს პრობლემას ჩვენვე მოვუვლით!

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ბორის ელცინს
რუსეთის ფედერაციის ქალთა კავშირის თავმჯდომარეს ქალბატონ ალევტინა ფედულოვას

საქართველოს რესპუბლიკის ქალები აღშფოთებული ვართ იმ ვანდალიზმით, რომელსაც აფხაზი ექსტრემისტები, რუსეთის სამხედრო ნაწილების დახმარებით, ჩადიან აფხაზეთში. რუსეთის საავიაციო ნაწილებმა არაერთხელ დაბომბეს სოხუმი, რამაც ქართველი, აფხაზი, რუსი ეროვნების ასობით მოქალაქე შეიწირა. დაინგრა, დაიწვა ასობით საცხოვრებელი სახლი და სხვა შენობა, უსახლკაროდ დარჩა მრავალი ოჯახი.

გვეწამდით, დავიღალეთ, თვალში ცრემლი გაგვიშრა ქალებს, ლტოლვილებით აივსო რესპუბლიკა.

ბატონო პრეზიდენტო! ბევრ ჭირგამოვლილო ჩვენო რუსო დებო და დედებო! ხმა აიმაღლეთ უკანონობის, სისხლის ღვრისა და ნგრევის წინააღმდეგ და გაიყვანეთ რუსული სამხედრო ნაწილები პირველ რიგში კონფლიქტის ზონიდან.

ჩვენ გვეცოდება ყველა გამწარებული დედა და თავს ვხრით მათ წინაშე მათი ეროვნებისა თუ რწმენის მიუხედავად, ვისაც შვილი ან მეუღლე დაეღუპა აფხაზეთში და დაბეჯითებით კიდევ ერთხელ გთხოვთ, დაგვეხმარეთ რომ რუსეთის ტერიტორიიდან ნუ ჩამოდიან ჩვენთან მოძალადეები, ნურც კანონიერი და ნურც უკანონო სამხედრო ფორმირებანი. ნუ ესვრიან ტყვიას აფხაზეთში მცხოვრებთ.

ჩვენი ხალხების მეგობრობა ხომ საუკუნეებს ითვლის, არ დაიჯეროთ, რომ თითქოს ქართველი ხალხი ებრძვის აფხაზ ხალხს. ამ ორი ძირძველი ხალხების ძმობა, მეგობრობა, ტრადიციებისა თუ კულტურის ერთობა მარად იყო, არის და მომავალშიც იქნება. ჩვენს პრობლემას ჩვენვე მოვუვლით. დაგვეხმარეთ, შვილებს, ქმრებს, ძმებს, მამებს წინ გადაუდექით, როცა ისინი „აფხაზეთის დასახმარებლად" საქართველოში საომრად მოდიან. თორემ სიძულვილმა, ომმა, ბრმა ტყვიამ გარჩევა არ იცის და რუსსაც არ დაზოგავს.

ბატონო პრეზიდენტო, რუსეთის ქალებო! შევწყვიტოთ ეს ომი, იგი ბედნიერებას არც ერთს არ მოგვიტანს!

საქართველოს რესპუბლიკის ქალთა საბჭოს პრეზიდიუმი.

მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით

ამ დღეებში თბილისში გაიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის III კონფერენცია.

კონფერენციას ესწრებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი კერვალიშვილი. მან თავის გამოსვლაში ისაუბრა საქართველოში რთულ მდგომარეობაზე, ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღინიშნა, რომ აფხაზეთის კონფლიქტი უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით.

კონფერენციამ განიხილა ორგანიზაციული საკითხები. სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტად კვლავ არჩეულია გიორგი კერვალიშვილი. დამტკიცებულია ასოციაციის ახალი გამგეობა.

კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია და მიმართვა ქართველი ერისადმი.

ასოციაციის პრესსამსახური.

უკვდავსაყოფად

დღეს, როგორც არასდროს, ისე საჭირო ყველა იმ მამულიშვილის პატივმიგება, ვინც სახელი და დიდება თავისი ზოგად ადამიანური საქციელით მოიპოვა. ღირსეული წარსულით დაწყებული, დღევანდელი დღით დამთავრებული, ზნეობრივი გმირობით გაცისკროვნებული და ზემაღიური ძალამიცემული, როგორც ეროვნული სიმბოლო, როგორც ჩვენი კაცობის ღირსსახსოვარი ნიშანსვეტი.

ყველამ უნდა გაიცნობიეროს, რომ ჯერ არ გადავიწყებულვართ, რომ თევდორე მღვდლის, ცოტნე დადიანის, დიმიტრი თავდადებულის, ქეთევან წამებულის ამაღლებული მამულიშვილობა და სულიერი სიწმინდე დღესაც მფარველ ანგელოზად დასტრიალებს საქართველოს. ხოლო ქართული თვითმყოფადობის და მისი სულის მშვენიერების ნათელი გაელვება 1991 წლის 21 სექტემბერს ექიმ გია აბესაძის სახით, ჩვენდა საამაყოდ და ჩვენი სულიერი ღირებულებების გადასარჩენად მთელ მსოფლიოს და უპირველეს ყოვლისა, ქართველ ხალხს უნდა გავაგებინოთ.

ჩვენ ყველამ სრულად და შინაგანად უნდა გავიცნობიეროთ გია აბესაძის თვითშეწირვის სიღრმე და უნიკალურობა, ის, რომ მან ვინმეს წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მიმართული აქცია კი არ ჩაატარა, არამედ თავის საყვარელ ერს, ცოდვის გზაზე დამდგარს, სრულიად საქართველოს, საერთოდ, ადამიანს სულიერი ღირებულებანი გაახსენა და სიყვარულისაკენ მოუწოდა.

უფრო ადრე, მშვიდი განცხრომის და გულგრილობის დამღუპველ პერიოდში უკეთილშობილესმა რაინდმა გურამ რჩეულიშვილმა მოინდომა ტაძრის ლავგარდანზე გამოჩენით ხალხი მოჯადოებული თავდავიწყებიდან წუთიერად, გაენთავისუფლებინა და ამ ყოველივეს გაოცებული თანამედროვენი მხატვრული ფორმით გაეზიარა. გია აბესაძემ თუმცა სიცოცხლე დათმო, მაინც ვერ შეძლო ხალხის ყურადღება მიეპყრო ამაღლებულისადმი. მაგრამ მით უფრო დიდია მისი ზნეობრივი გმირობის ტრაგიკულობა და მნიშვნელობა, რამეთუ გვახსენებს, რაოდენ საშიშია სისასტიკე სიყვარულის დათმობისა და სიძულვილის აღზევებისა, რა საფრთხეს გვიქადის სულიერი დაცემა, ზნეობის ღალატი, ურთიერთშუღლი და უპატიოსნება. მართალია, თავის მოკვლა ბრძოლის ასპარეზიდან გაქცევას ჰგავს, მაგრამ ეს თვითმიზანი კი არ ყოფილა, არამედ მან, უკეთილშობილესი სურვილით აღვსილმა სიკვდილით გაგვახსენა ადამიანის უმაღლესი დანიშნულება — იცოცხლოს და იღვაწოს მამულისათვის, მოყვასისათვის, სიკეთისათვის და თავისუფალი ნების საკაცობრიო იდეალების დასამკვიდრებლად.

სწორედ ასე გაიგო ჩეხმა ხალხმა თავისი შვილის იან პალიჰის გია აბესაძისეული ანალოგიური ქმედება და მას ხსოვნის მარადიული ძეგლი აუგო.

ცამდე მართალია ჩვენი ღვაწლმოსილი მწერალი ბატონი ლევან სანიკიძე, როცა მიმდინარე წლის 6 თებერვლის „საქართველოს რესპუბლიკაში" თქვენდამი მოწერილ წერილში „ვერ გაიგეთა ქართველნო" ამაყად აცხადებს: „კმარა! ნუ დაველოდებით იმას, რასაც ჩვენი მომავალი თაობები უჩივლად გააკეთებენ..."

ძნელია, არ დაეთანხმო ამ ნამდვილად პატრიოტულ მოწოდებას. ამასთან ერთად სრულიად საქართველოს გია აბესაძის საზოგადოებას გია აბესაძის ცეცხლით მოვლენილი ფენომენის დროულად წარმოჩენის მიზნით გადაუდებელ ღონისძიებად მიგვაჩნია მისი სახელობის ეროვნული თანხმობის, მშვიდობის, ჭეშმარიტ მამულიშვილთა ხსოვნის მაღალზნეობრივი, ჰუმანური იდეალების მუზეუმის დაარსება. აქ იქნება უახლესი ისტორიის ამსახველი ექსპონატებიც, 9 აპრილს და საერთოდ ამ ძნელბედობის ჟამს სამშობლოსათვის დაღუპულ მამულიშვილთა უკვდავი სახელების მარადიული ხსოვნის გალერეა. მუზეუმში იმუშავებს კულტურულ-საგანმანათლებლო წრეები ახალგაზრდა თაობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღსაზრდელად.

გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ, რათა აღნიშნული მუზეუმის შესაქმნელად რესპუბლიკის მთავრობამ მოგვცეს შესაფერისი შენობა. ჩვენ შეგვწევს უნარი აღვადგინოთ და მოვუაროთ დაზიანებულ ნაგებობასაც და იგი ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად ვაქციოთ.

ავთანდილ მემარნიშვილი,
სრულიად საქართველოს გია აბესაძის საზოგადოების თავმჯდომარე.
გთხოვთ ჰონორარი ჩარიცხოთ ეროვნული თავდაცვის ფონდში.

ღმერთო, ნუ გამოლევ ასეთ ადამიანებს...

მყავს ექვსი შვილი და თხუთმეტი შვილიშვილი. ყველანი აფხაზეთიდან ლტოლვილები ვართ. ჩვენი ოჯახები იქ, აფხაზეთში გადაწვეს, რაც გვებადა, ყველაფერი წაგვართვეს. მაგრამ მე მაინც იმედს არ ვკარგავ, რადგან ქვეყნად არსებობენ კეთილი ადამიანები, რომლებიც დახმარების ხელს გვიწვდიან, მიყენებულ ჭრილობას გვიმსუბუქებენ.

თბილისელმა გიორგი ნაცვალაძემ გაჭირვებაში ჩავარდნილებს 5.000 მანეთი მოგვცა და თან გაგვამხნევა, გული არ გაიტეხოთ, რითაც შეგვეძლება, დაგეხმარებითო. თბილის-მარტვილის ავტობუსის მძღოლმა თამაზ ტალახაძემ კი, როცა შეიტყო, რომ ლტოლვილები ვიყავით, საფასური არ გადაგვახდევინა. რა თქმა უნდა, ჩვენთვის 1000 მანეთის დაზოგვა ბევრ რამეს ნიშნავს, მაგრამ ყველაზე მეტად იმან გაგვახარა, რომ თამაზმა ფულს ადამიანობა ამჯობინა.

ღმერთო, ნუ გამოლევ ასეთ ადამიანებს!

რ. ნაცვალაძე,
თბილისი.

ველოდებით ირანში, თურქეთსა და აზერბაიჯანში მცხოვრებ ახალგაზრდებს

ჩვენთან — საქართველოს კერძო საინჟინრო-ეკონომიკურ ინსტიტუტში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, კერძოდ, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, ირანიდან სტუმრად იყვნენ იქ მცხოვრებ ქართველთა წარმომადგენლები და გვთხოვეს ქველმოქმედება — თურქეთში, აზერბაიჯანსა და ირანში მცხოვრები საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები ჩავრიცხოთ სტუდენტთა რიგებში და სწავლის საფასურის გადახდაში გავუწიოთ შეღავათი.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში არასტაბილური მდგომარეობაა, ეკონომიკური კრიზისია და ამის გამო ჯერჯერობით არა გვაქვს ასეთი დიდი მასშტაბის საქველმოქმედო ღონისძიებების განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობები, ინსტიტუტმა მაინც გამოძებნა საამისო საშუალება და გადაწყვიტა 1993-1994 სასწავლო წლიდან დააკმაყოფილოს საზღვარგარეთელ ქართველთა თხოვნა და დაიწყოს მათთვის არა თუ შეღავათიანი, არამედ საერთოდ უფასო სწავლება.

განზრახული გვაქვს 1993 წლის სექტემბრიდან უფასო სწავლების წესით მეცადინეობა დავაწყებინოთ ირანელ ქართველთა 15-სტუდენტიან, თურქეთელ ქართველთა 12-სტუდენტიან და აზერბაიჯანულ ქართველთა 10-სტუდენტიან ჯგუფებს. ასეთი ოდენობით ირანში, თურქეთში და აზერბაიჯანში მცხოვრებ ხელმოკლე ქართველ ახალგაზრდათა ჯგუფების დაკომპლექტებას ჩვენ მოვახდენთ არამარტო 1993-1994 სასწავლო, არამედ ყოველი შემდგომი სასწავლო წლებისთვისაც. იმის გამო, რომ ირანში, თურქეთში, აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდები არადამაკმაყოფილებლად ფლობენ ქართულ ენას, სათანადოდ არ არიან გათვითცნობიერებული ქართველი ერის ისტორიასა და საქართველოს გეოგრაფიაში, მათთვის პირველი სასწავლო წელი (ე. ი. პირველ კურსზე) იწარმოებს მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის გაძლიერებული, აგრეთვე, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და მათემატიკის სწავლება. შემდგომ — მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე კურსებზე კი მოეწყობა უშუალოდ ინჟინერ-ეკონომისტის პროფილის სასწავლო გეგმითა და პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობა.

ირანში, თურქეთსა და აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც ჩაირიცხებიან ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტთა რიგებში, გარემოსილნი იქნებიან პროფესორ-მასწავლებელთა და ადგილობრივ სტუდენტთა სიყვარულითა და სითბოთი. ჩვენ მათ სწავლების პერიოდში ყველა საჭირო პირობას შევუქმნით, რათა კარგად დაეუფლონ ქართულ ენას, გაეცნონ საქართველოს ყველა რაიონსა და ქალაქს, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას, კულტურას, ცხოვრების წესს; აღადგინონ წინაპართა ნაშიერებთან ნათესაური კავშირი, გაიჩინონ მეგობრები; აკეთონ პირველ და მეორე სამშობლოშიც ქართული საქმე; ხელი შეუწყონ საქართველოსა და ირანის, საქართველოსა და თურქეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

ირანში, თურქეთში და აზერბაიჯანში მცხოვრებ ხელმოკლე ქართველ ახალგაზრდათა უფასო სწავლება არ იყო და არ არის ჩვენი ერთადერთი საქველმოქმედო ღონისძიება. ასეთი მრავალია, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ინსტიტუტს გადაწყვეტილი აქვს საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებთანაც დაამყაროს მჭიდრო კავშირი და იმათ, ვისაც საამისო სურვილი და თხოვნა ექნება, აღმოუჩინოს დახმარება.

ალექსანდრე კუჭუხიძე,
საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

სარედაქციო ფოსტიდან

რამდენიც კაცი, იმდენი აზრი

როდის მივიღებთ გაზეთს?

გამოწერილი მაქვს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 1993 წლისთვის. უკანასკნელად იგი წლეულს, 12 იანვარს მივიღე და მას შემდეგ გაზეთი თვალით აღარ მინახავს. არც ის ვიცი, როდემდე გაგრძელდება ასე. ამას იმიტომ ვამბობ, რომ საკითხის გასარკვევად მივაკითხე დუშეთის რაიონის შუახევის საფოსტო განყოფილებას, სადაც მიპასუხეს, ჩვენ რით გიშველოთ, როცა გაზეთი თქვენთან კი არა, თვით რაიონულ ცენტრში — დუშეთშიც ენატრებათო.

ძვირფასო რედაქცია, იქნებ თქვენც დაინტერესდეთ და დაგვეხმაროთ ჭეშმარიტების დადგენაში. მაინც რა ხდება, რატომ არ მოდის ჟურნალ-გაზეთები თბილისიდან ერთი ხელის გაწვდენაზე მდებარე დუშეთის რაიონში? რომ იცოდეთ, რა საშინელება ყოფილა ინფორმაციული შიმშილი!

გეიდარ ხოსროშვილი
დუშეთის რაიონი.

ჭორებს ნუ აჰყვებით

პირდაპირ საოცარია რუსეთის ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწის უპასუხისმგებლო განცხადება, ვითომდა საქართველოში რუსი ეროვნების მოსახლეობა დისკრიმინაციას და შევიწროებას განიცდიდეს.

საქართველოში არასოდეს არ ყოფილა ეთნიკური შუღლი. აქ ოდითგანვე ცხოვრობდა მრავალი ეროვნების წარმომადგენელი, რომლებსაც არასოდეს განუცდიათ დევნა-შევიწროება. რუსი ხალხისა და მისი კულტურისადმი საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება დღევანდელ საომარ ვითარებაში ვერ განისაზღვრება ცალკეული ინციდენტებით. დღეს ყველასთვის, ვინც საქართველოს მკვიდრია, ეს უნდა იყოს სამამულო ომი, სხვა ერის წარმომადგენლები ქართველების ზურგს კი არ უნდა იყვნენ ამოფარებულნი, არამედ ისინიც მოვალენი არიან ქართველების მხარდამხარ დაიცვან საქართველოს მთლიანობა.

დღისდღეობით საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე ცხოვრობს ნახევარ მილიონამდე მეტი რუსი ეროვნების მოქალაქე, რომლებიც ქართველებთან ერთად შრომობენ და ცხოვრობენ. მათ საქართველოში ქართველებისაგან დაცვა არა სჭირდებათ. ყველანი მეგობრულად ვცხოვრობთ.

როცა ვუსმენ „ოსტანკინოს" ტელეგადაცემებს იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო რუსეთის პარლამენტში ქართველთა დევნისაგან რუსი მოსახლეობის დაცვის კამპანია, აღშფოთება მიპყრობს. საკითხავია, ვინ ვისგანაა დასაცავი — ისინი ჩვენგან, თუ ჩვენ რუსეთის აგრესიისაგან?

ბოლოს ისტორია ნათელს მოჰფენს ყველაფერს, თავისი სახელი დაერქმევა თავისუფლებისათვის მებრძოლსაც და აგრესორ-მკვლელსაც, რომელთა უშუალო დახმარებით, თავდასხმებით უამრავი ქართველი ჭაბუკის სისხლი დაითხია ქართული მიწის მთლიანობისათვის ბრძოლაში.

თენგიზ თომაძე,
თბილისი.

ვილაპარაკოთ გახსნილი ფრჩხილებით

ამას წინათ თქვენს გაზეთში წავიკითხეთ, რომ ექსპრეზიდენტის მომხრეები კვლავ არ ცხრებიან და სხვადასხვა, ლეგალური თუ არალეგალური საშუალებებით ცდილობენ „მრგვალი მაგიდის" ფუნქციის აღდგენას და ყოველნაირად ხელს უშლიან ამჟამინდელი ხელისუფლების პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც ემსახურება საქართველოს ჭეშმარიტი სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

ყოფილები არ ცხრებიან. ჩვენ, ფირმა „თავკვერის" წარმომადგენლები, ჩვენს პოზიციას გამოვხატავთ იმასთან დაკავშირებით, რომ ნათელი შევიტანოთ „ყოფილების" თემაში მართლაც, ყოფილს გააჩნია. არაერთია მათ შორის ისეთი, რომელიც სიტყვით და საქმით ხელს უწყობს საქართველოს ჭეშმარიტ აღორძინებას. ეს ჩვენს მაგალითზე გვინდოდა დაგვემტკიცებინა.

ჩვენი ფირმა გასულ წელს შეიქმნა ყოფილი მორაგბეებისაგან. ფირმის დებიუტი არასახარბიელო გამოდგა. დავკარგეთ 4 მილიონი მანეთის საქონელი (გზაში პირწმინდად გაგვძარცვეს), რომელიც საქართველოში უნდა შემოგვეტანა.

ასევე, უიღბლო გამოდგა მეორე ცდაც. დაახლოებით ამდენივე ღირებულების საქონელი (ფიცრული სახლები და სხვ.), საქართველოსთვის გამოგზავნილი, გაგრაში დარჩა და ჩვენც მაშინ ჩავებით საბრძოლო მოქმედებაში.

ერთი სიტყვით, ფირმა უკიდურეს ფინანსურ გასაჭირში ჩავარდა. ამ დროს გაგვახსენდა ბ-ნი მურმან ომანიძე, ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რომელმაც სპორტსმენებს ადრეც არაერთხელ გაგვიწია დახმარება. ვიცოდით, რომ მას დღემდე აქვს კავშირი ყოფილ რუსეთის და სხვა რესპუბლიკების საქმიან წრეებთან.

ბ-ნი მურმანი დაგვეხმარა საქმიანი ურთიერთობების დამყარებაში, რაც არ არის მეორეხარისხოვანი, ფაქტობრივად გარანტად დაგვიდგა. ამის შემდეგ ჩვენი ძირითადი საქმიანობა აეწყო და ისე წარიმართა, რომ შესაძლებლობა მოგვეცა ფართოდ გაგვეშალა საქველმოქმედო საქმიანობა, დავეხმარებოდით აფხაზეთიდან ლტოლვილებს, სტიპენდიები დაგვენიშნა წამყვანი სპორტსმენებისათვის, დაგვეფინანსებინა ზოგი მათგანის მონაწილეობა საერთაშორისო ტურნირებზე და სხვა. ახლა, როცა საქართველოში განსაკუთრებით დამძიმდა სიტუაცია, იგი საქართველოში 150 მილიონი მანეთის საქონელს გზავნის. საქართველოს სწორედ დღეს ჭირდება ყველას თანადგომა.

ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ ჩვენ, ყოფილ სპორტსმენებს საქართველოშიც გვყავს მხარში ამომდგომი. ასეთია, მაგალითად, ბოლნისის ღვინის ქარხნის კოლექტივი. მადლობა ყველას.

ფირმა „თავკვერის" სახელით:
ვალერი გიორგობიანი, ზაზა ბაკურაძე, გია გორგასლიძე, მერაბ ბესელია, დავით შუბითიძე, გია კაკუშაძე, გია ზარნაძე, უსუპ ბურჯილიანი, თემურ მამსიკაშვილი, ზვიად ეფხოშვილი.

არავის უთქვამს — წინ ზიხარ და უკან გადაჯექიო

საქართველოს პარლამენტის განცხადებაში, რომელიც ჩვენში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით მიიღეს, მთელი პრინციპულობითა და სისრულით ასახავს იმას, თუ რა ხდება დღეს აფხაზეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებში.

პრესიდან და ტელევიზიიდან ვიგებთ, რომ რუსეთის რეაქციული ძალები, განსაკუთრებით სამხედრო მეთაურთა ერთი ნაწილი, ვიცე-პრეზიდენტი და ზოგიერთი გენერალი კონფრონტაციისა და ომის მოსურნეა. 3 სექტემბრის ხელშეკრულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის შესახებ ეტყობა მოსაჩვენებლად მოაწერეს ხელი რუსეთის სახელმწიფოს მეთაურებმა. ხელშეკრულება ხელშეკრულებად დარჩა, მაგრამ...

საქართველოში მცხოვრები რუსების, საერთოდ, რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის საბაბით, რუსეთის რეაქციული ძალები ათასნაირ ხრიკებს მიმართავენ, რათა აფხაზეთში ომი გაგრძელდეს. ამის დასტურია ისიც, რომ რუსეთს აფხაზეთიდან არ გაჰყავს ის სამხედრო ნაწილები, რომლებიც ამიერკავკასიის ჯარების სარდლობას არ ექვემდებარება.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოს რუსულენოვანი მოსახლეობა არავითარ შევიწროებასა და ჩაგვრას არ განვიცდით. ეს რომ ასე იყოს, აქ როგორ გავჩერდებოდით.

რუსეთის რესპუბლიკის პარლამენტის განცხადებას რომ გავეცანი, აღვშფოთდი — რატომ ხდება, რომ აფხაზეთის ომს და საქართველოში არეულობას რუსებისა და ქართველების დასაპირისპირებლად იყენებენ. არა! ქართველები ნამდვილად არიან იმის ღირსნი, რომ რუსეთმა და სხვა ქვეყნებმაც თანადგომა გამოუცხადონ იმ კეთილი მასპინძლობისთვის, რასაც ისინი ნამდვილად იმსახურებენ. მოვუწოდებ ყველას, თავი შეიკავონ იმ უხეში ჩარევისაგან, რასაც ადგილი აქვს აფხაზეთის ომში.

ნელი მატვიეცი,
პენსიონერი, ინჟინერ-პედაგოგი

სიხარული ნაადრევი გამოდგა

ამ წერილს გწერთ პენსიონერი მასწავლებელი. პენსიის რაოდენობით განებივრებული არა ვარ, მაგრამ უგაზეთოდ ცხოვრება არ შემიძლია.

ხელმოწერის ვადის გასვლამდე მივაკითხე ჩვენი სოფლის ფოსტას, მაგრამ ხელმოწერაზე უარი მითხრეს. გამოწერა დავამთავრეთო. თქვენ ვადა 20 დეკემბრამდე გააგრძელეთ. კვლავ მივაკითხე, პასუხი იგივეა. წავედი გურჯაანში, იქაც იგივე პასუხი (?!) შევაწუხე ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი, რომელმაც თხოვნა შემისრულა. ძალიან გამიხარდა, მადლობაც ვუთხარი, მაგრამ ჩემი სიხარული ნაადრევი გამოდგა. შარშანდელი 15 დეკემბრიდან დღემდე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" არც ერთი ნომერი არ მიმიღია.

მოტივად მოჰყავთ ტრანსპორტისა და საწვავის უქონლობა. თუმცა ყოველ 100 მეტრში ბენზინი იყიდება. სოფელში ბევრი საკუთარი და სამსახურის მანქანის მქონე გვყავს, რომლებიც რაიონის ცენტრში მუშაობენ. თუ ადგილობრივი ხელმძღვანელები თავს შეიწუხებენ და თხოვენ კვირაში ერთხელ მაინც, მორიგეობით გაზეთები გადმოიტანონ, ეს მათ ავტორიტეტსაც შეუქმნის და ჩვენც გვეშველება. მაგრამ თავის შეწუხება არავის უნდა...

შარშან გამოწერილი მქონდა „სოფლის ცხოვრება" და „თბილისი". პირველი, როგორც ჩანს, სულ არ გამოსულა... „თბილისი" კი ახლაც გამოდის. მაგრამ მე, მხოლოდ თებერვლის თვეში 4 თუ 5 ნომერი მივიღე...

ხალხს საწუხარი ისედაც ბევრი აქვს და დროა, ვისაც რა ეხება, ლაპარაკიდან საქმეზე გადავიდეს.

ვარლამ ავალიშვილი,
გურჯაანის რაიონი,
სოფელი ველისციხე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

რუსეთის პარლამენტში

გუშინ მოსკოვში რუსეთის უზენაესი საბჭოს სესიამ დილის 10 საათზე განაახლა მუშაობა. განიხილეს რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის მოქმედებისა და გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის საკითხი. სასამართლომ მთელი რიგი დებულებები მისი შაბათის სატელევიზიო გამოსვლისა, რომელშიც მან გამოაცხადა ქვეყანაში საგანგებო მმართველობის წესის შემოღება, კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ ცნო. უზენესი საბჭოს თავმჯდომარემ რუსლან ხასბულატოვმა განაცხადა, რომ ეს იძლევა საფუძველს დაიწყოს პრეზიდენტის გადაყენების (იმპიჩმენტის) პროცედურა. ოპოზიციური ბლოკის „ერთიანობის" წინადადებით სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, მოიწვიოს 26 მარტს სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე ყრილობა, რომელიც კონსტიტუციის შესაბამისად უფლებამოსილია განიხილოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი.

ნიშანდობლივია პრეზიდენტის მრჩევლის სერგეი სტანკევიჩის განცხადება ამერიკის ტელეკომპანია სი-ენ-ენისათვის. მან კერძოდ თქვა, რომ კომპრომისი ჯერ კიდევ შესაძლებელია და საჭიროა დიალოგისათვის კარი ღია იყოს.

მოულოდნელი შეხვედრა კრემლში

გუშინ ნაშუადღევს კრემლში გაიმართა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის, მთავრობის მეთაურის ვიქტორ ჩერნომირდინის, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის რუსლან ხასბულატოვისა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ვალერი ზორკინის შეხვედრა. დღის წესრიგი არ გამოუცხადებიათ, მაგრამ ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ განიხილეს სიტუაცია, რომელიც შეიქმნა მას შემდეგ, რაც ბორის ელცინმა მიმართა რუსეთის მოქალაქეებს და რამაც გამოიწვია საკონსტიტუციო სასამართლოსა და პარლამენტის მწვავე რეაქცია. ოსტანკინოს ტელეპროგრამით გადმოიცა, რომ შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა.

თურქეთის შუამავლობით

ევროპის გაერთიანება თურქეთის შუამავლობით დახმარებას გაუწევს სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს 12 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით. ეს ორშაბათს ანკარაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა ევროპის გაერთიანების წარმომადგენელმა სანტიაგო გომეს-რეინომ. მან თქვა, რომ გაერთიანება კვლავ აწვდის თურქეთის ტერიტორიის გავლით სურსათსა და პირველი საჭიროების საგნებს ქურთ მოსახლეობას ჩრდილოეთ ერაყში.

ანკარა წინათ დათანხმდა იმას, რომ თურქეთის გავლით წავიდის სომხეთისათვის განკუთვნილი დახმარების ტვირთით სავსე ორი მატარებელი საფრანგეთიდან. თურქეთის ხელისუფლებმა დაიტოვეს უფლება, შეამოწმონ ერევანში მიმავალი ტვირთი, ხომ არ არის აქ აღჭურვილობა, რომელიც შეიძლება გამოიყენონ ომში აზერბაიჯანის წინააღმდეგ.

გუშინ გაეროში

გაეროს უშიშროების საბჭოს კენჭი უნდა ეყარა ბოსნია-ჰერცეგოვინის საჰაერო სივრცეში სამხედრო ავიაციის ფრენის აკრძალვის რეზოლუციის პროექტს. „აკრძალული" ზონა შემოიღეს გაეროს გადაწყვეტილებით გასული წლის ოქტომბრის გადაწყვეტილებით. რუსეთის დელეგაციის თხოვნით სხდომა გადაიდო.

ხუთასი ათასი გირვანქა სტერლინგი

დიდმა ბრიტანეთმა სწრაფად მოახდინა რეაგირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამასწინანდელ მოწოდებაზე და 500 ათასი გირვანქა სტერლინგი გამოყო საქართველოში კონფლიქტის დროს დაზარალებული დაახლოებით 100 ათასი გადაადგილებული პირის საჭიროებებისათვის. ეს ცნობილი გახდა ზღვისპირა ტერიტორიების განვითარების სახელმწიფო მინისტრის ბარონესა ჩოკერის განცხადებიდან. როგორც მან თქვა, ბრიტანეთის დახმარება მიზნად ისახავს, რომ საქართველოში შეიქმნას ამ რესპუბლიკაში გაგზავნილი ჰუმანური ტვირთის მიღებისა და განაწილების სპეციალური სტრუქტურა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მეათე მუზა

ნანა ღვინეფაძე

„სამოთხის მსგავსად ნაქები"...

რეჟისორ გიორგი ხარნაველს საზოგადოება იცნობს სატელევიზიო ფილმებით „მეცხვარეები", „შენ ხარ ვენახი", „ვერცხლის ქორწილი", „დათოს ვარსკვლავი" (ამბავი უდროოდ დაღუპული უნიჭიერესი ჭაბუკი მხატვრის დათო კრამაშვილისა). ახლახანს კი ცისფერ ეკრანზე ვიხილეთ გ. ხარნაველის ახალი ფილმი „სირია ქართველთა თვალით", რომლის ოპერატორია იური გაჩნაძე, ხოლო სცენარისტი — გოჩა ჯაფარიძე.

სირიაში მიმოსვლა დღეს ძალზე გაიოლდა და „გაიაფდა", მაგრამ გააჩნია, ვის რა მიაქვს და მოაქვს... ფილმი კი აგებულია არა უცაბედ ტურისტულ შთაბეჭდილებებზე, არამედ ისტორიის წიაღში ღრმა წვდომის შედეგად შექმნილ ქარგაზე, რაც იძლევა იმის საბაბს, რომ ვთქვათ: ჭეშმარიტად ქართული თვალით, ქართული გულითა და გუმანით განუჭვრეტიათ და შეუთაიგულებიათ ფილმის ავტორებს წარსული და დღევანდელობა ახლო აღმოსავლეთის ამ მრავალფეროვანი ქვეყნისა, რომელთანაც ქრისტიანულ საქართველოს უძველესი დროიდან ჰქონია გაბმული სულიერი გზები ისევე, როგორც წინა და მცირე აზიის, ბალკანეთის, ეგვიპტის ქვეყნებთან.

გოჩა ჯაფარიძის ფრიად საინტერესო სცენარი დაედო საფუძვლად გიორგი ხარნაველის ამ ექვსნაწილიან ფილმს. მასში მოთხრობილია უმთავრესი ეპიზოდები სირიისა და მისი 35-საუკუნოვანი დედაქალაქის დამასკოსი, რომელსაც არაბები ისევე, როგორც მთელ სირიას, შამს უწოდებენ. ბევრი მოგზაური მოუხიბლავს ამ უმშვენიერეს და უმდიდრეს ქალაქს.

„სამოთხის მსგავსად ნაქები,
შამი დამასკო გსმენია?
ქვეყნად ღვთისაგან სამოთხე,
იქმნეს, მუნ განაჩენია".

ეს ქებათა-ქება მე-17 საუკუნის ქართველ პოეტს ნოდარ ციციშვილს ეკუთვნის, მაგრამ სირიასთან ურთიერთობას კიდევ უფრო შორეულ წარსულში აქვს ფესვები და სწორედ დღევანდელობის ფონზე ამ შორეთის მოახლოებას ახერხებს ეს ფილმი, გადაღებული წარსულისადმი უაღრესად ფაქიზი გრძნობით, ზომიერებით და დოკუმენტური სიმართლით, რაც კინოპუბლიცისტიკის უპირველეს ღირსებად ითვლება.

ცხადია, ფილმის გადაღებას წინ უსწრებდა ისტორიული მასალის შესწავლა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მარტოოდენ წარსულის მიმოხილვით, ანუ თანამედროვეობასთან დაკავშირების გარეშე ცოცხალი ვერ შეიქმნება მხატვრული ნაწარმოები — კინოსეანსი ხომ პარალელების გავლების საუკეთესო საშუალებას იძლევა და ფილმის ავტორებიც ჩინებულად იყენებენ აწმყოსა და წარსულის შეპირისპირების ხერხს. ასე გამოიკვეთა ფილმში ქართულ-სირიულ ურთიერთობათა ეპიზოდები უშორესი დროიდან დღემდე, ჰკი თავიდანვე ხაზგასმით ამბობენ, რომ დამასკოს ძველი ზღაპრული უბნების შემოვლისას ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიას ვუსწორებთ თვალს. ამ მოგზაურობისას საქართველოსთან დაკავშირებული ეპიზოდები გვაინტერესებდა უპირველეს ყოვლისა და სირიის დედაქალაქის ფართო პანორამის, რომაული და ისლამური არქიტექტურის მნიშვნელოვან ძეგლთა თვალის შევლების შემდეგ თანდათან ვუახლოვდებით ქრისტიანულ სამყაროს, საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს, კერძოდ სამშობლოდან გადახვეწილ გიორგი სააკაძის ტრაგიკული აღსასრულის ამბავს ჰალების ციხესიმაგრეში.

ფილმის ავტორები, როგორც ვთქვით, ეძებენ „ნათესაურ" კვალს ისტორიულ რეალიებში, ხელნაწერებში, ჩუქურთმებში (ყურძნის მტევანი, ჯვარი), ლეგენდებში და აგნებენ კიდეც ძალზე საინტერესო და ნიშნეულ დეტალებს.

ერთ-ერთია ანტიოქიის მართლმადიდებლურ საპატრიარქოში შემავალი წმინდა გიორგის მონასტერი, აგებული მეექვსე საუკუნეში. გვიან შუა საუკუნეებში ქართულ ეკლესიასა და ამ მონასტერს შორის კავშირს მოწმობს ის, რომ თურმე სირიელ ბერებს სამ წელიწადში ერთხელ უფლება ჰქონიათ მოწყალება შეეგროვებინათ საქართველოში. კეთილურთიერთობის ნიშანია იქ დაცული, 1786 წელს თბილისში დაბეჭდილი სახარება და ქართველ მეფეთა და უფლისწულთა სხვა შეწირულობანი. აი წარწერა ჭედურ ყდაში ჩასმული წმინდა წიგნისა (ქართულ-არაბულად):

„შესწირა ეს წმინდა სახარება საქართველოს მეფის ძემ გიორგიმ წმინდა გიორგის მონასტერს, რომელსაც ეწოდება ალ-ჰუმაირა და რომელიც მდებარეობს ჰოსნის მხარეში, სირიაში, საუკუნოდ და ჩამარადისოდ სიყვარულის ნიშნად".

... ჩვენს თვალწინაა დაზიანებული ქართული ეტრატები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ასომთავრულით შესრულებული ფსალმუნის ფრაგმენტი, დაახლოებით X საუკუნისა. აქვეა ფრაგმენტები (ნუსხურით) თხზულებისა იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის შესახებ, რომელიც X-XI საუკუნის ხელნაწერად მიიჩნევა და მნიშვნელოვნად განსხვავდება X საუკუნის ათონის მრავალთავში დაცული თხზულებისაგან, ჟამთასვლას გადარჩენილი ეს ფოლიანტები ქართველ და არაბ მეცნიერთა კვლევის საგნად ქცეულა.

სირიელ ქრისტიანთა და ქართველთა შორის ეკლესიურ ურთიერთობებზე საუბრობს ჰომსის მიტროპოლიტი ალექსი; იგი ახსენებს ჰომსელ წმინდა ელიანეს (ილიანეს) მოწამეებრივად აღსრულებულს III საუკუნეში, აღნიშნავს, რომ საქართველო შედიოდა წმინდა ანტიოქიის ეკლესიის სფეროში, რაც ხელს უწყობდა მეგობრულ კავშირებს სირიელებსა და ქართველებს შორის. მასვე მოუწოდებია ფილმის ავტორებისათვის ფრიად საინტერესო ცნობა ლატაკიის ჩრდილოეთით მდებარე აკრაის, იგივე კავკასიონის მთის შესახებ, რომლის კალთებზეც უცხოვრიათ ქართველ ბერებს და შორეული სამშობლოს მოსაგონებლად დაურქმევიათ აკრაის მთისათვის კავკასიონი (მე-5 საუკუნის მოღვაწე წმ. ვარლამის ცხოვრების ქართულ ხელნაწერში, რომელიც ათონის მთაზეა დაცული, ასეა მოხსენიებული კავკასიის მთა, სადაც აღესრულა წმინდანი).

თითქოს ბედის ნიშანია: დღეს აკრაის, ანუ კავკასიონის მთის ფერდობზე სოფელ ქესებში ცხოვრობს სირიელი პოეტი და მთარგმნელი ნიზარ ხალილი, რომელმაც ამეტყველა არაბულად რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", ბარათაშვილის „ბედი ქართლისა", ილიას და აკაკის პოეტური ქმნილებები, ქართული პროზის ნიმუშები.

...„ იყო არაბეთს როსტევან" — კითხულობს ქართულად „ვეფხისტყაოსნის" სტრიქონებს ნიზარ ხალილი.

... ჩვენი გამოჩენილი თანამემამულის, სირიაში მოღვაწე ლევან სალარაძის თაოსნობით გამოიცა არაბულად „ვეფხისტყაოსანი" და ეს მნიშვნელოვანი ამბავი სათანადოდ აღინიშნა კიდეც ოთხმოციანი წლების ქართულ პრესაში. სასიამოვნო მოგონებად დაგვრჩა ბატონ ლევანის სტუმრობა ჩვენს რედაქციაში; მისი უზადო, დარბაისლური ქართული, მისივე თქმით „ვეფხისტყაოსნის" კითხვით რომ შეინარჩუნა...

ბატონი ლევანი აღარ არის, მაგრამ ფილმის მეოხებით ჩვენ გავიცანით მისი კეთილშობილი მეუღლე ქალბატონი ევგენია, შვილები და შვილიშვილები, ოჯახი, სადაც ტრიალებს ქართული სული და ცოცხლობს ბატონ ლევან სალარაძის საქმე და სახელი, სახელი ჭეშმარიტი ქართველისა და ქველმოქმედისა, 1989 წლის მარტში ანდერძის თანახმად თბილისის მიწამ რომ მიიბარა.

ფილმი გვაცნობს დამასკოს ჩრდილოეთით მდებარე სოფელ საიდნაიას VI საუკუნის დედათა მონასტერს, ღვთისმშობლის სახელზე რომ აუგია ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს და გადმოცემით ამ მიდამოებში 300 ქართველი ჩაუსახლებია — საიდნაიის მოსახლეობაც მათგან წამომდგარა. საიდნაიას ვენახი და ღვინოც განთქმული ყოფილა... ქართულს ჩამოჰგავს სიტყვა მალულა — სახელწოდება სოფლისა დამასკოს მახლობლად, სადაც არამეულ ენაზე ლაპარაკობენ თურმე ძველ სირიელთა შთამომავალნი, იქაური წმინდა თეკლას მონასტრის წინამძღვარი პელაგია პატივისცემით მოიხსენიებს წმინდა ნინოს საქართველოს და აღნიშნავს ანტიოქიის საპატრიარქოსა და საქართველოს ეკლესიას შორის ტრადიციულ კეთილურთიერთობას, საუკუნეთა სიღრმეში რომ უდევს სათავე. თავის მხრივ, ეს ფილმიც ახალ ურთიერთობათა საწინდარია.

კინომოთხრობა სამოთხის მსგავსად ნაქებ მხარეზე კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მიუხედავად დროთა დინებისა და ჟამთა სიავისა, სულიერი გზები არა და არ იკარგება.

ფეხბურთი ზუგდიდსაც ეწვია

ფეხბურთის მოყვარულებს დამატებით გაცნობებთ ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის ზოგიერთი მატჩის დაზუსტებულ შედეგებს: „სამგურალი"-„გორდა"— 5:1, „ოდიში"-„ბათუმი" — 3:3, „სამტრედია"-„ივერია" — 1:0.

სატურნირო ცხრილის ზედა სართული ასე გამოიყურება: „დინამო"—46 ქულა, „ალაზანი"—35, „შევარდენი-1906" და „სამგურალი" — 33-33.

ხვალ საქართველოს სტადიონებზე გაიმართება ქვეყნის [illegible] გათამაშების საპასუხო ფინალური შეხვედრე[illegible] ჩემპიონატი 30 მარტს [illegible]ბა.

9 ტურის შემდეგ

9 ტური გათამაშდა 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა რესპუბლიკურ შესარჩევ ტურნირზე.

6-6 ქულა მოაგროვეს ლიდერებმა — თეა ლანჩავამ და ეკა ქემულარიამ. ისინი 1 ქულით უსწრებენ მაია ლომინეიშვილს და ნატო ჟღვერაძეს.

ასპარეზობის გამარჯვებული თანატოლთა მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება, მეორე პრიზიორი კი ევროპის პირველობაზე ითამაშებს.

შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს?!

თამაზ კონჭოშვილი — 4 შვილის მამა, საქართველოს 1971 წლის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, დამსახურებული მწვრთნელი, ახალგაზრდებს შორის მსოფლიოსა და ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონის გიორგი ივანიშვილის აღმზრდელი, ყვარელში სპორტის ამ სახეობის დამნერგავი, რესპუბლიკის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — „ვაზის ცრემლების" პრეზიდენტი....

— ბატონო თამაზ, თქვენი ქველმოქმედების მასშტაბები უკვე კარგა ხანია გასცდა სპორტისა და მშობლიური რაიონის ფარგლებს. ყვარლის ღვინის ქარხანასთან არსებული საჭიდაო კლუბის — „ვაზის ცრემლების" ერთადერთი და ქვეყნის თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციის სპონსორი, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სხვა სფეროებსაც გადასწვდით...

— ყოველწლიურად მრავალშვილიან და გაჭირვებულ ოჯახებს 700-800 ათას მანეთს ვურიცხავთ, ხოლო რესპუბლიკის თავდაცვის ფონდს უკანასკნელ პერიოდში 300 ათასი მანეთით შევეწიეთ. ამავე ფონდის ანგარიშზე მიმდინარე წელს კიდევ მილიონ მანეთს გადავრიცხავთ. გარდა ამისა, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს საკუთარი სახსრებით შევუძინე და ჩავაბარე 1 ავტომატი, 1 ყუთი ვაზნა, თბილი სამხედრო ტანსაცმელი და 2 რაცია. ყვარლის წყალმომარაგებასაც ჩვენი ქარხანა აფინანსებს. ჩვენი წვლილი შევიტანეთ მიკროჰესის და ჭიდაობის სასახლის მშენებლობაშიც:

ჩვენი სტუმარია „ვაზის ცრემლების" პრეზიდენტი

— თქვენი გახმაურებული ინიციატივის შესახებ რას გვეტყვით?

— ვინაიდან მომავალი სააქციო საზოგადოებებს ეკუთვნით, ინიციატივით გამოვედი კერძო პირებზე გაცემული მიწების გაერთიანებით ღვინის ქარხანასთან ერთად შემექმნა სააქციო საზოგადოება. ამ მიზნისათვის ხორცშესასხმელად შემოვიკრიბეთ თანამოაზრეთა 300-ოჯახიანი ჯგუფი, მათ შორის სულმნათი ზურაბ ჭავჭავაძის ოჯახი, რომლის მიმართაც, ჩვენი ეროვნული გმირის ობლების მდგომარეობიდან გამომდინარე, გამონაკლისი დავუშვით. თუმცა, როგორც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას სჩვევია, მრავალი კეთილშობილური წამოწყების მსგავსად, აღნიშნულსაც გაუთვალისწინებელი ბარიერები ეღობება წინ, რაიონის გამგებელი ბატონი თამაზ იმედაშვილი და რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატი ბატონი გურამ უსტიაშვილი, ჩვენი იდეის მხარდამჭერთა შორის ჯერჯერობით იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენენ. მრავლისმეტყველია ის გარემოებაც, რომ ჩვენს პოზიციას იცავენ შესაბამისი საპარლამენტო კომისია და მისი თავმჯდომარე ბატონი რონი ლიპარტელიანი. არადა, მინდა განვუმარტო ჩვენს დროებით მოწინააღმდეგეებს, რომ ამ სიახლის განხორციელებით მომავალი სააქციო საზოგადოების თითოეული წევრი ყოველწლიურად უზრუნველყოფილი იქნება ხელშესახები დივიდენდით, რომელიც გაცილებით აღემატება ცალკეული მათგანის ინდივიდუალური შრომით მიღებულ მოგებას.

ბატონი თამაზის პიროვნების თაობაზე პირველ რიგში, მისი საქმეები მეტყველებს. ვფიქრობთ, მკითხველთათვის არანაკლებ საინტერესო იქნება მის შესახებ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის მესვეურთა აზრი:

გურამ გედეხაური, ფედერაციის პრეზიდენტი — თუ გვსურს, რომ ამ მძიმე დღეებში ქართულ სპორტს შევუნარჩუნოთ თვითმყოფადი სახე, ასეთ ხალხს უნდა გავუფრთხილდეთ. ბატონი თამაზი გახლავთ ჭეშმარიტი პატრიოტი და ჩვენი ფედერაციის დასაყრდენი ყვარელში.

ომარ შოშიტაშვილი, ფედერაციის გენერალური მდივანი — თავმდაბალი, ჩამოყალიბებული, ჭიდაობის სამყაროში ავტორიტეტული და ყველასათვის საყვარელი, წლების მანძილზე შრომით გამორჩეული — ასეთია თამაზ კონჭოშვილი. იგი სისტემატურად უანგაროდ გვეხმარება და პრეზიდიუმის სხდომაზე ყოველთვის უკანა პლანზე რჩება. იგი საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის წევრების წახალისებაზეც არ იხევს უკან.

დასასრულს, მადლიერების გრძნობით აღვნიშნავთ, რომ თამაზ კონჭოშვილი ჩვენი რედაქციის სპონსორიც ბრძანდება.

გია პლატონიშვილი.

ცხონება

ვაჟა მამაცაშვილი

გარდაიცვალა საწარმოო გაერთიანება „ქვებმანქანის" მთავარი ინჟინერი ვაჟა ივანეს ძე მამაცაშვილი.

დაიბადა 1935 წელს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1959 წლიდან მუშაობდა საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელში", სადაც განვლო გზა რიგითი კონსტრუქტორიდან საწარმოს მთავარი ინჟინრის მოადგილის თანამდებობამდე.

1981 წლიდან ვაჟა მამაცაშვილი საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში მანქანათმშენებლობის კრებსითი განყოფილების უფროსის მოადგილეა, 1985 წელს კი მას საწარმოო გაერთიანება „ქვებმანქანის" მთავარ ინჟინრად ნიშნავენ, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იღვაწა.

იგი იყო მრავალი რაციონალიზატორული წინადადებისა და გამოგონების ავტორი, თანამშრომლებში სარგებლობდა ავტორიტეტით და პატივისცემით.

წავიდა ჩვენგან კარგი სპეციალისტი, ჩუმი, უპრეტენზიო, სპეტაკი კაცი, რომლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგების გულში.

საწარმოო გაერთიანება „ქვებმანქანის" თანამშრომლები.

ოთარ ქუონია

ქართველ მშენებელთა რიგებს გამოაკლდა თვალსაჩინო პიროვნება — სიცოცხლეზე, ოჯახზე, კოლექტივზე და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, გულისხმიერი ადამიანი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, ტრესტ „ტურისტრემმშენის" მმართველი — ოთარ ვლადიმერის ძე ქუონია.

დაიბადა 1927 წელს მოსამსახურის ოჯახში. 1946 წ. თბილისის საავიაციო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშად, ოსტატად, საამქროს უფროსად, პროფკავშირების საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარედ, ქარხნის დირექტორის მოადგილედ. 1960 წელს დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1962 წლიდან 1988 წლამდე მუშაობდა ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველის მოადგილედ, 1990 წლამდე კი „საქკურორტმშენის" ტრესტის მმართველად. უკანასკნელი წლების განმავლობაში დღემდე მუშაობდა საქართველოს ტურიზმის კომიტეტის ტრესტ „ტურისტრემმშენის" მმართველად.

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობის პერიოდში მის პირად მაგალითზე აღიზარდა ახალგაზრდა მშენებელთა თაობები.

ენერგიული ორგანიზატორი, შრომისუნარიანი, კომპეტენტური, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, კეთილშობილი და კეთილმოსურნე — ასეთად იცნობდნენ მას.

მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგებისა და ახლობლების მახსოვრობაში.

საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრო; საქართველოს რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტი; სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭო.

ინფორმაცია
მრეწველობა
კომერცია
გთავაზობთ:
სწრაფად
შეგასწავლით მუშაობას კომპიუტერზე
მოგიმზადებთ ახალი ფირმის სარეგისტრაციო საბუთებს, დაგეხმარებით გახსნაში
ფალიაშვილის 42 (57 სკოლა),
29-11-78, 12-17 სთ.

განცხადება

რ. ს. ზ. „საქავტორემონტის" დირექცია აცხადებს, რომ ავტოტრანსპორტის დეპარტამენტის ბრძანებით რ. ს. გ „საქავტორემონტს" ლიკვიდაცია უკეთდება მიმდინარე წლის 20 აპრილიდან. ყველა დაინტერესებულ პირსა და ორგანიზაციას ვთხოვთ, თუ აქვთ რაიმე პრეტენზია ჩვენს მიმართ წარმოადგინონ 1993 წლის 20 აპრილამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ არავითარი პრეტენზია არ მიიღება.

ჩვენი მისამართია: მექანიზაციის ქუჩა № 1. რ. ს. გ. „საქავტორემონტის" დირექცია.

ქირავდება
სასაწყობო მეურნეობა საწვავისათვის (მოცულობით 150 ტონა), ადგილმდებარეობით ნავთობბაზასთან.
ცნობებისათვის დარეკეთ: 22-18-60, 66-84-98.

სამედიცინო დაწესებულებათა საყურადღებოდ!
სამედიცინო კოოპერატივი „პაციენტი" შეისყიდის იმპორტულ სამედიცინო და ლაბორატორიულ ტექნიკას, რომელიც გამოუყენებელია მასალებისა თუ რეაქტივების უქონლობის გამო.
ტელეფონი: 98-80-60, 11.00-დან 16.00 საათამდე.

ვიყიდით!
კორპორაცია „НИПЕК"-ის აქციებს თითო 1800 მანეთად. მინიმალური პარტია 100 ცალი. მთლიანი თანხა განთავსებული იქნება მოსკოვში, გამყიდველის პირად ანგარიშზე მისივე განკარგვის ქვეშ. მოგვმართეთ: ფირმა „იბერი"-ს, ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. № 7-5; ტელ.: 29-14-81.

ზაურ მაკარაძე

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ორპირი ქარი

ომის ქარიშხალი და კრიმინოგენული ქარიშხალი თითქმის ერთდროულად შემოიჭრა ჩვენს ქვეყანაში. ორივე ერთნაირად საშიშია, თუმცა ჯერჯერობით, მეორეს უფრო წარმატებით ებრძვიან

ნ[illegible] შევნიშნავ, რომ პოლიციის ოპერატიული მუშაობა ყოველთვის ვერაა სრულყოფილი და ეფექტიანი. საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი მრავალი მიზეზის გამო სამართლის, წესრიგის, ყოველი ადამიანის პიროვნებისა და მოქალაქეობრივი ინტერესების დამცველი ეს მძლავრი, მეტ-ნაკლებად შეიარაღებული სახელმწიფო მანქანა, ჯერჯერობით, მთლიან გამართულად ვერ მუშაობს. თუმცა ამ ბოლო ხანს გარკვეული პროგრესი იგრძნობა. ეს კარგად ჩანს ჩვენს ქუჩებში, მიდამოებში, გზებზე.. [illegible]. ახალ პოლიცია ახლა, სწორედ, ფეხის ადგმის სტადიაშია. პროფესიონალიზმი, ობიექტურობა, [illegible] მხოლოდ კულტურის სრულყოფა, განათლებულობა, კიდევ მრავალი პროფესიული უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება ერთი დღის საქმე არ არის. [illegible]

ამიტომაც, ყოველი კვირის ბოლოს „საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებს შეუძლია იქნებათ თვალი ადევნონ და განსაჯონ ჩვენი რესპუბლიკის კრიმინოგენულ მდგომარეობას. [illegible]

სადამსჯელო სფერო, ვინც კონკრეტულ საქმეს აკეთებს, [illegible] ჩვენს პუბლიკაციებში შევეცდებით ვიყოთ სამართლიანი და მხოლოდ სამართლიანი; [illegible]

* * *

[illegible]

სადღეღამისო ოპერატიული ცნობების მიხედვით 12-18 მარტს რესპუბლიკაში რეგისტრირებულია 327 სისხლის სამართლის დანაშაული, ამათგან 230 გახსნილია, იმავე მაჩვენებლები წინა კვირას შესაბამისად 345 და 205 იყო.

გახსნილია — მკვლელობის 13, გაუპატიურების ორი, სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდვა-ყაჩაღობის 22 შემთხვევა, დაკავებულია ქურდობის ან ყაჩაღობის გზით გატაცებული 16 ავტომანქანა.

დანაშაულობათა ამ ფართო სპექტრში მკითხველის ყურადღებას უფრო ტიპიურ და [illegible] დანაშაულებზე მივაპყრობ.

[illegible] 14 მარტს მცხეთის შინაგან საქმეთა განყოფილებისა და მუხრანის ქვეგანყოფილების თანამშრომელთა მიერ დადგენილ იქნა, რომ ხოფ. მუხრანში მცხოვრები, 1959 წელს დაბადებული, ადრე ნასამართლევი, უმუშევარი ზურაბ ილიას ძე [illegible], ის ა. წ. 6 მარტიდან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა, [illegible]

[illegible] მკითხველს ამის შესახებ [illegible] ინფორმაციას მომავალში მივაწვდით.

[illegible] „აკ"-ის სისტემის ავტომატი ერთი მჭიდით და 14 საბრძოლო ვაზნით.

[illegible] 15 მარტს [illegible]

[illegible]

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის ხაზით რეგისტრირებულია 21 დანაშაული (წინა კვირას — 51). ამოღებულია 199,1 გრამი მარიხუანა, 2 ამპულა მორფინი, 60 აბი დიაზეპამი, 46,4 გრამი ოპიუმი, 16 ათასი აბი დიმედროლი, 2 ამპულა რელანიუმი.

ამ მხრივაც ძლიერდება ბრძოლა. ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო გაიზარდა საქართველოს ნარკოტიკების სატრანზიტო რეგიონად ქცევის საშიშროება. ესეც რომ არ იყოს, საკუთარი მომხმარებლებიც საკმაოდ გვყავს. 16 მარტს ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად კრიმინალური პოლიციის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს თანამშრომლების მიერ [illegible] „ნაგანი", 7 ცალი საბრძოლო ვაზნით, 16 ათასი აბი [illegible] „დიმედროლი", ორი ამპულა რელანიუმი, 2 ამპულა ნარკოტიკული საშუალება „მორფინი", 6 ცალი [illegible] [illegible]

12-18 მარტს დაკავებულია 47 ყაჩაღური ჯგუფი, 180 ბოროტმოქმედის შემადგენლობით. რეგისტრირებულ დანაშაულთაგან სტუდენტების მიერ ჩადენილია 8, მუშების მიერ — 5, კოლმეურნეების მიერ — 1, მოსამსახურეების მიერ — 19, უმუშევრების მიერ — 87, ადრე ნასამართლევი პირების მიერ — 27, გვარდიელის ფორმაში — 12.

დადგენილი და დაკავებულია 24 ძებნილი.

ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებული არიან ახალგაზრდა ბიჭები, უმუშევრები [illegible] ქ. თბილისში კონსტიტუციის ქ. № 1-ში განლაგებული ფირმების „მორკინალის", „ფანსკერტელის" და „შანსის" საერთო საცავში ცეცხლსასროლი (ავტომატური იარაღის) მუქარით გატეხეს 2 დარაჯი და გაიტაცეს 1.200.000 მანეთის სხვადასხვა საქონელი. [illegible]

16 მარტს პისტოლეტებით შეიარაღებული 5 დაუდგენელი ბოროტმოქმედი დაესხა ქ. ფოთში, [illegible] ქუჩაზე მცხოვრებ 70 წლის [illegible] ბინას. თავდამსხმელებმა იარაღის მუქარით ბინიდან გაიტაცეს 40 000 მანეთი ფული, ვიდეომაგნიტოფონი „სანიო", ტელევიზორი „ჩაიკა", ოქროს სამკაულები და ავტომანქანა „ვოლგა" გაზ-24 (გ 4784 გრ), — ვერაფერს იტყვი, სამეფო ნადავლია!

თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ ზოგიერთი თავდაცვასაც ახერხებს: 15 მარტს ღამის საათებში ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა, ნიღბიანმა 3 დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა მოტეხეს [illegible] ბინაში. [illegible] ბოროტმოქმედებს გაუწია წინააღმდეგობა და ნაგანის სისტემის ტაბელური იარაღით დაჭრა ზურაბ [illegible], რომელიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა, დანარჩენი ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

ადგილი აქვს თაღლითობის ფაქტებსაც. [illegible] ქ. ქუთაისში [illegible] 300 ლიტრი წყალი მიჰყიდა 78 ათას მანეთად. ამიტომ უნდა გაფრთხილდნენ [illegible]

გარდამავალი წარმატებით მიმდინარეობს იარაღის ამოღება. ზემოხსენებულ დღეებში ამოღებულია 8 ავტომატი, 5 პისტოლეტი, 4 ცივი იარაღი, 4 დენთის პაკეტი, 1 რევოლვერი, 1 ტყვიამფრქვევი, 11 ხელყუმბარა, 8 ელექტროდეტონატორი...

აჰა, ჩვენი „კრიმინალური სამყარომ" მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სურათი. ვნახოთ, რამდენ ნათელ და შავ შტრიხებს შეიტანს მიმდინარე კვირა ამ სურათში.

მთავარი რედაქტორი ზურამ გოგიაშვილი.
მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.
ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.
გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.
გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.
SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА